# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 25 მაისი, 2012 წელი.

№98 (6974)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ქართულ ოცნების მცველებად ვდგავართ

7






ქართულ ოცნების მცველებად ვდგავართ,
გმირები გვზრდიდნენ დიდგორ-მარაბდის,
ჩვენო სამშობლო, იდიდე მარად,
ღმერთი გფარავდეს აწ და მარადის!

## „საბოლოოდ ერთი პირთაგვა რჩება და იმ ერთს ქართველი ხალხი ბოლოს მოუღებს“

3

## ხალხისთვის კონსტიტუციის თავზე გადაფხრეწა დემოკრატიასთან ყოვლად შეუთავსებელია!

4

## „რუსეთი სააკაშვილის დასამხობად მატრ-რევანშისთვის ემზადება“

8

## „საქართველოს ელის საერთაშორისო იზოლაცია და სააკაშვილის დიქტატურის მარწუხები, რისი ნიშნებიც უკვე ნათლად იკვეთება“

## პარსკვლავური ტურიზმი და სააკაშვილის 5-იანები

5

## ძლიერი წვიმის შემთხვევაში, შესაძლოა, ტრაგედია ისევ განმეორდეს

◎ პირუმტკიცობა

# კი დაგპირდითო, მაგრამო...



დანაზოგი 15 წლის შემდეგ, ანუ მიაბარეთ მთავრობას 2% სამუდამოდ

**არავითარი 18%, დაქირავებულს საშემოსავლო გადასახადის სახით კვლავ 20% დაექვითება! აქედან, 18% პირდაპირ ბიუჯეტში წავა, ხოლო 2% ახლადშექმნილი და, სავარაუდოდ, გაურკვეველი წარმომავლობის კომპანიების ფონდში შევა, რომელსაც დაზოგვის ანგარიში ერქმევა. დამზოგველი კი (იგივე დაქირავებული) თავის დანაზოგს მინიმუმ 15 წელი თვალით ვერ ნახავს; ხოლო რა მოხდება 15 წლის შემდეგ, ამას ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ გეტყვით.**

აღსანიშნავია ისიც, რომ საშემოსავლო გადასახადი არსებული 20%-დან 15%-მდე აღარ შემცირდება. ამის ნაცვლად, 2013 წლიდან ამოქმედდება ახალი სისტემა, რომლის მიხედვითაც გადამხდელს შეეძლება 20%-იანი საშემოსავლო გადასახადიდან 18% გადაიხადოს ბიუჯეტში, ხოლო 2% ნებაყოფლობით საფუძველზე მიმართოს ინდივიდუალური დაგროვებით ანგარიშზე.

საგადასახადო კოდექსში მთავრობის მიერ შემუშავებულ ამ ცვლილებას პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე უყარა კენჭი.

საშემოსავლო გადასახადის 20%-დან 15%-მდე შემცირებას 2011 წლიდან ამოქმედებული საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებდა. კერძოდ, კანონით განსაზღვრული გრაფიკის თანახმად, 2013 წლამდე საშემოსავლო გადასახადი 20%, 2014 წლამდე – 18%, ხოლო შემდგომ 15% უნდა გამხდარიყო.

თუმცა მთავრობის ახალი შემოთავაზებით, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი კვლავ 20%-იან ნიშნულზე დარჩება.

სიახლეა ინდივიდუალური დაგროვების ახალი სისტემის შემოღება, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერ დაქირავებულს შეუძლია საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში გადაიხადოს 18%, ხოლო 2% ნებაყოფლობით მიმართოს დაზოგვის ანგარიშზე. თუ პირი არ მოინდომებს 2%-ის დაზოგვას, მისი საშემოსავლო გადასახადის 20% ბიუჯეტში მიიმართება.

ნებაყოფლობით ინდივიდუალური დაგროვების წესსა და პირობებს სპეციალური კანონი ადგენს, რომელიც ასევე პირველი მოსმენით იქნა მიღებული.

ამ კანონპროექტის თანახმად, სააქციო საზოგადოების ფორმით შეიქმნება აქტივების მმართველი კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფიზიკური პირების შენატანის მართვას ამ პირების მიერ არჩეული სქემის შესაბამისად. მმართველი კომპანიების საქმიანობის ლიცენზირებას და ზედამხედველობას ეროვნული ბანკი განახორციელებს. დაზოგილი თანხის მიღება, კანონპროექტის თანახმად, მოქალაქეებს არანაკლებ 15 წლის შემდეგ შეეძლებათ.

ასეთი გრძელვადიანი დაგროვების სისტემა ძალიან არ მოეწონა ოპოზიციას, რომელმაც მყისვე გააკრიტიკა მთავრობის შემოთავაზება. იმ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება მუდმივად დაძაბულია, რა მოხდება 15 ან თუნდაც 2-3 წლის შემდეგ, ძნელი წარმოსადგენია. თანაც სამთავრობო კურსის რადიკალურად შეცვლის შემთხვევაში, შესაძლოა, „დაზოგილი" თანხა საერთოდაც აორთქლდეს.

დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას აზრით, მთავრობა ცდილობს „მოატყუოს" ხალხი, რადგან მათ საშემოსავლო გადასახადის სახით რეალურად ისევ 20%-ის გადახდა მოუწევთ. 2%-იან შეღავათს ვერც ერთი დაქირავებული ვერ მიიღებს.

მთავრობის წევრთა განცხადებით კი, ინდივიდუალური დაგროვების სისტემის შექმნის მიზანია გრძელვადიანი კრედიტისთვის რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდა და გრძელვადიანი ინვესტიციებისთვის საფონდო ბირჟის და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება.

**გიორგი ბექაური**

Presage.tv

◎ ინფორმაცია

## მოსახლეობას აიძულებენ, რომ „გლობალTV"-ის თანამშრომლები „ქართული ოცნების" პროპაგანდაში დაადანაშაულონ

**საგარეჯოს** რაიონის სოფელ მანავში „გლობალ TV"-ს ანტენების დამონტაჟებასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობა გამგეობაში დაიბარეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" „გლობალ TV"-ის მარკეტინგისა და განვითარების დირექტორმა ზურაბ ბაზლიძემ განუცხადა.

ბაზლიძე ამბობს, რომ მოსახლეობას აიძულებენ, რომ „გლობალ TV"-ს თანამშრომლები „ქართული ოცნების" პროპაგანდაში დაადანაშაულონ.

„ვისაც ანტენები დაუმონტაჟეს, მათ ეუბნებიან, რომ თქვან, თითქოს „გლობალ TV"-ს ანტენების დამონტაჟების სანაცვლოდ, მათ „ქართულ ოცნებაში" გაწევრებას აიძულებენ", – აცხადებს ბაზლიძე.

მისივე თქმით, გუშინ მანავის გამგეობაში გამართულ შეხვედრას საგარეჯოში კუდ-ის წარმომადგენელი გიორგი დუჩიძე ესწრებოდა.

## „მწვანეთა პარტია" 27 მაისს „ქართული ოცნების" აქციას შეუერთდება



**„მწვანეთა პარტია"** 27 მაისს პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების" აქციას შეუერთდება. ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ განაცხადა.

„მწვანეთა პარტიის" პოზიცია არ არის მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური პარტნიორის, კოალიცია „ქართული ოცნების" მხარდამჭერი, არამედ ეს ძალადობის, უსამართლობისა და კორუმპირებული ხელისუფლების წინააღმდეგ მშვიდობიანი პროტესტის სურვილითაცაა განპირობებული", – აღნიშნა პრესკონფერენციაზე გაჩეჩილაძემ.

მან მოუწოდა „მწვანეთა პარტიის" მხარდამჭერებს, მიიღონ აქტიური მონაწილეობა 27 მაისის მშვიდობიან აქციაში და გამოხატონ თავისი დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

ამასთან, გიორგი გაჩეჩილაძემ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს და საელჩოებს მოუწოდა ყურადღებით დააკვირდნენ აქციის მსვლელობას, რათა თავიდან იყოს აცილებული ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი პროვოკაცია.

## „ქომაგი 2"-ს ოლიმპიური ჩემპიონი გელა კეტაშვილი დააფუძნებს



„ქომაგი 2"-ს ოლიმპიური ჩემპიონი გელა კეტაშვილი დააფუძნებს. როგორც „ინტერპრესნიუსს" საქველმოქმედო ფონდ „ქომაგის" საზოგადოებასთან ურთიერობის სამსახურში განუცხადეს, გელა კეტაშვილმა „ქომაგი 2"-ის დაფუძნების სურვილი თავად გამოთქვა.

„ქომაგის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, „ქომაგი 2„ დაახლოებით ორ კვირაში, რეგისტრაციაში გატარების პროცედურების დასრულების შემდეგ ოფიციალურად დაფუძნდება.

„ქომაგის" დამფუძნებლის ია მეტრეველის განცხადებით კი, უახლოეს მომავალში „ქომაგი 2" და „ქომაგი 3" შეიქმნება.

კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახურმა რამდენიმე დღის წინათ ფონდ „ქომაგის" ანგარიშები დააყადაღა. კონტროლის პალატის ინფორმაციით, აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი 17 მაისს, ფონდის ანგარიშზე უცხოეთიდან „საქართველოს კონსერვატიული პარტიის" საგარეო ურთიერთობათა მდივნის ბიძინა გიორგობიანის მიერ 90. 000 ევროს ოდენობის ტრანზაქციის განხორციელება გახდა.

ფონდი „ქომაგი" 15 მაისს დაფუძნდა. ფონდს პოლიტიკური მოტივით დევნილებისა და რეპრესირებულებისთვის იურიდიული და ფინანსური – 1500-დან 5000-ლარამდე დახმარება უნდა გაეწია.

**ინტერპრესნიუსი**

◎ იძულებით გადაადგილებულნი

# საქართველოში რამდენიმე საპროტესტო აქცია ძალის გამოყენებით დაიშალა

Amnestu International-**მა დღეს 2012 წლის ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც საქართველოც არის მოხსენებული. ანგარიშში საუბარია 2011 წელს, საქართველოში, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, სადაც ძირითადი ყურადღება იძულებით გადაადგილებულ პირებზე, შეკრების თავისუფლებაზე, კონფლიქტის ზონებში მცხოვრები ადამიანების უფლებებზე და სასამართლო სისტემაზეა გამახვილებული.**

„ასობით იძულებით გადაადგილებული ოჯახი გაასახლეს თბილისიდან. უმეტეს შემთხვევაში ეს გასახლება მოხდა სათანადო კონსულტაციის და შეტყობინების გარეშე. გასახლებულებს შესთავაზეს ალტერნატიული ფართი თბილისის გარეთ, ძირითადად სოფლებში. ამ დროს არ იქნა დაცული სათანადო საცხოვრებლის უფლება, მათ შორის როგორიცაა დასაქმება", – აღნიშნულია ანგარიშში.

Amnestu International-ი ყურადღებას ამახვილებს შეკრების თავისუფლებაზე და წერს, რომ 2011 წელს საქართველოში რამდენიმე საპროტესტო აქცია ძალის გამოყენებით დაიშალა. კონკრეტულად, მოყვანილია 3 იანვარს, ვეტერანების აქციის დაშლა და აღნიშნულია, რომ „პოლიციელებმა და სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულებმა სცემეს დემონსტრანტები და პოლიციის მანქანებში შეათრიეს. არსებობს ვიდეო-მასალა, სადაც ჩანს, რომ უფორმო პოლიციელი ურტყამს ქალ დემონსტრანტს".

ანგარიშში ვრცლად არის საუბარი 26 მაისის აქციაზე და ხაზგასმულია, რომ პოლიციამ გამოიყენა გადაჭარბებული ძალა ანტისამთავრობო პროტესტის დასაშლელად. „ვიდეომასალებში ჩანს, რომ პოლიციელები ურტყამენ შეუიარაღებელ დემონსტრანტებს, რომლებიც არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდნენ მათ. პოლიციელებმა სულ მცირე 10 ჟურნალისტს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ზოგიერთი დააკავეს დასაკითხად, ზოგს აპარატურა დაუზიანდა, ზოგს საერთოდ ჩამოართვეს. აქციაზე ოთხი ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის ერთი პოლიციელი. შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიების შედეგად, ოთხი პოლიციელი გაათავისუფლეს გადაჭარბებული ძალის გამოყენების გამო, ზოგიერთი დააქვეითეს", – ნათქვამია ანგარიშში. აქვე აღნიშნულია, რომ მთავრობამ ვერც 2007 და 2009 წლის დემონსტრაციებისას ვერ შეძლო სათანადოდ გამოეძიებინა სამართალდამცავების მხრიდან გადაჭარბებული ძალის გამოყენების შემთხვევები.

უფლებადამცველი ორგანიზაციის ანგარიშის ბოლო პუნქტი სასამართლო სისტემას ეთმობა, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოში იმყოფებოდა გაეროს სამუშაო ჯგუფი და ამ ვიზიტის შემდეგ მათ გამოთქვეს შეშფოთება სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით. „შეშფოთება შეეხებოდა პროკურორების როლს, ძალიან დაბალ მაჩვენებელს გამამართლებელი განაჩენის", - ნათქვამია ანგარიშში.

ანგარიშში მოხვდა სანდრო გირგვლიანის საქმეც.

„ევროსასამართლოს 26 აპრილის განჩინებით, საქართველომ ვერ უზრუნველყო ეფექტური გამოძიება მკვლელობისა, სადაც მთავრობის ოფიციალური პირები იყვნენ გარეულები. სასამართლომ განაცხადა, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გამოძიებაში იყო ნაკლებობა სამართლიანობის, დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის", – აღნიშნულია ანგარიშში.

◎ ვითარება

## „საქართველოს რკინიგზის" აქციების ლონდონის ბირჟაზე განთავსება გადაიდო

**როგორც სააგენტო „როიტერი" იუწყება, ამის მიზეზად საფონდო ბაზრებზე არსებული ვითარება დასახელდა.**

ინფორმაცია რკინიგზის აქციების შესახებ დაახლოებით ერთი კვირის წინ გავრცელდა. როგორც მაშინ „როიტერი" წერდა, კომპანია 800 მილიონიდან მილიარდ დოლარამდეა შეფასებული. აქციების პირველადი განთავსების შედეგად კი, საქართველოს მთავრობამ, შესაძლოა, 250 მილიონი დოლარი გამოიმუშაოს.



◎ „ახალი მემარჯვენეები"

# აქცია ეკონომიკის სამინისტროსთან

**„ახალი მემარჯვენეების" ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებმა რაჭის კურორტების შოვისა და უწერის აღდგენის მოთხოვნით საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან გუშინ აქცია გამართეს.**

აქციის მონაწილეებს ჰქონდათ პლაკატები – „შოვი და უწერა ჩვენი სიმდიდრე", „გააცოცხლე შოვი და უწერა", „არ დაცალო რაჭა", „გააცოცხლე შოვი, გაამაგრე საზღვარი". ახალგაზრდა მემარჯვენეების განცხადებით შოვი და უწერა უნიკალური კურორტებია და მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და მთიდან მიგრაციული პროცესების შეჩერების თვალსაზრისით.

„დღეს შოვი და უწერა პრაქტიკულად მკვდარია. უმუშევარი და უფუნქციოა ამ ზონაში მცხოვრები მოსახლეობა, რომლის ძირითადი საქმიანობა სწორედ კურორტების ინფრასტრუქტურის მოვლა-შენარჩუნება, ჩამოსული დამსვენებლების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით უზრუნველყოფა და მომსახურება იყო", – აცხადებდნენ „მემარჯვენეები".

**ინტერპრესნიუსი**

◉ მიმართვა



## მინდია გულუა: საქართველოს ელის საერთაშორისო იზოლაცია და სააკაშვილის დიქტატურის მარწუხები, რისი ნიშნებიც უკვე ნათლად იკვეთება

პოლიტიკური პარტია „განახლებული საქართველოსთვის" მთავარმა მრჩეველმა საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში მინდია გულუამ მიმართვა გაუგზავნა აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ჯონ ბასს, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს საქართველოში, ელჩს ფილიპ დიმიტროვს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში, ქალბატონ სიმონე უოლკენს, ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელს საქართველოში კატერინა ბოლონიეზეს.

„თითქმის ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც 12 მაისს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, კერძოდ, თბილისში, რუხში (ზუგდიდის რაიონი), ბათუმში, ხობში, ჩხოროწყუში, პოლიტიკური პარტია „განახლებული საქართველოსთვის" და დევნილთა საინიციატივო ჯგუფის ერთობლივი ორგანიზებით, გაიმართა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა მრავალათასიანი შეკრება, რომლის პრეცედენტი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში არ შექმნილა დევნილთა აქტივობისა და სიმრავლის თვალსაზრისით. ეს ღონისძიება ფართოდ გაშუქდა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მედიასაშუალებებით, რამაც ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი რეზონანსი გამოიწვია. ამ ღონისძიებისთვის მზადება უმოკლეს დროში და ფორსმაჟორულ ვითარებაში განხორციელდა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს, განსაკუთრებით ძალოვან სტრუქტურებსა და სპეცსამსახურებს (კუდი, სოდი), ერთი წუთითაც არ მოუდუნებიათ ყურადღება დევნილთა აქტივობის მიმართ და სხვადასხვა მექანიზმებით(დაშინება, ზეწოლა, მუქარა, ანგარიშსწორება) ცდილობდნენ ამ ღონისძიებისთვის ხელის შეშლას როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში". — აღნიშნულია მიმართვაში.

მინდია გულუას თქმით, იგი დევნილი გახლავართ სოხუმიდან, ადამიანი, რომელსაც 1993 წლიდან იარაღით ხელში მოუხდა ბრძოლა საკუთარი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

„სოხუმთან ერთად მე და ჩემმა ოჯახმა დავკარგეთ ყველაფერი, მათ შორის ჩემთვის სანუკვარი მამის საფლავიც (იმედი მაქვს დროებით), რომელიც აგერ უკვე 19 წელია თვალით არ მინახავს. მთელი ჩემი ცხოვრება სოხუმის დაცემიდან დღემდე, ჩემი პიროვნული თუ პროფესიული წარმატება მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა, ყველაფერი გამეკეთებინა ჩემი სოხუმის სასახელოდ და იმ ადამიანების კეთილდღეობისათვის, ვინც საკუთარი სახლიდან დევნილის ყოფა გაიზიარა და ვისაც უპასუხისმგებლო და დამნაშავე პოლიტიკოსების გამო უმძიმესი ბედისწერა ხვდა წილად".

„დღეს შეძლებული ბიზნესმენი ვარ რუსეთის ფედერაციაში და, ამავე დროს, ვხელმძღვანელობ სრულიად რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობას „საქართველოსთვის", რომელიც ამ უზარმაზარი ქვეყნის 53 რეგიონში აერთიანებს საქართველოდან დევნილ მოსახლეობას და ცდილობს პატარა საქართველოსა და ქართული კულტურის კერების შექმნით არ დაავიწყოს ქართველებს საკუთარი სამშობლო და მშობლიური ენა. მიუხედავად იმ ქველმოქმედებისა და საქმიანობისა, რაც ამ ორგანიზაციის ეგიდით გაწეული მაქვს ჩემი ხალხისთვის, დღეს საქართველოში შემოსვლა არ შემიძლია, რადგან საქართველოს სპეცსამსახურებისთვის წარმოვადგენ კონსტიტუციურ საფრთხეს საკუთარი ქვეყნისთვის, თუმცა ხელისუფლებისაგან დღემდე არ მიმიღია ოფიციალური პასუხი ჩემი ბრალეულობის შესახებ.

როგორც პიროვნებას და ბიზნესმენს, არ მომეცა არანაირი საშუალება, დავხმარებოდი ჩემს დევნილებს საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და საქველმოქმედო ფონდის მეშვეობით, რადგან შარშან ხელისუფლებამ შეაჩერა ფონდის საქმიანობა და ყადაღა დაედო მის ანგარიშს.

2011 წლის ნოემბერში თანამოაზრეებთან ერთად ჩამოვაყალიბე პოლიტიკური პარტია „განახლებული საქართველოსთვის", რომლის თავმჯდომარედაც სადამფუძნებლო ყრილობამ აირჩია ჩემი და ნანა გულუა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

მას შემდეგ სწორედ ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ღონისძიებად პარტიამ დაისახა, დევნილებთან ერთად, ჩაეტარებინა მრავალათასიანი შეკრება საქართველოს მასშტაბით და 12 მაისი გამოცხადებულიყო აფხაზთა, ქართველთა და ოსთა შერიგებისა და ერთობის დღედ. 12 მაისის აქციამ გამოცდა ჩააბარა, ჩვენი შეფასებით - საკმაოდ წარმატებით, რადგან მან მოახერხა უმთავრესი, კიდევ ერთხელ ერთად შეკრიბა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი მოსახლეობა და აჩვენა საზოგადოებას, რომ ეს ხალხი ცოცხალია, რომ ამ ხალხს ღირსება გააჩნია და რომ ეს ხალხი მზად არის დაბრუნდეს მშობლიურ აფხაზეთში და სამაჩაბლოში. ხელისუფლება კი, როგორც ჩანს, სხვაგვარად ფიქრობს.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიამ ხელისუფლებისაგან ოფიციალურად მიიღო დასტური აქციის გამართვაზე ყველა ქალაქში, სამეგრელოში ძალოვანმა სტრუქტურებმა და სპეცსამსახურებმა ნამდვილი ომი გამოუცხადეს ჩვენს აქტივისტებს და არ მისცეს ხალხის შეკრების საშუალება. მათ შეძლეს მძღოლების დატერორება და სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება. მიუხედავად ამისა, სოფელ რუხის ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე აქცია მაინც გაიმართა, სადაც, ტერორის პირობებში, 40000 დევნილის ნაცვლად მხოლოდ 8 ათასმა შეძლო მოსვლა".

მინდია გულუას თქმით, ამ ვითარებაში წარმოუდგენელია წარმართო პოლიტიკური საქმიანობა და მოემზადო დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნებისათვის, რაც ჩვენი ქვეყნის გადარჩენისა და განვითარების ერთადერთი და უალტერნატივო საშუალებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ელის საერთაშორისო იზოლაცია და სააკაშვილის დიქტატურის მარწუხები, რისი ნიშნებიც უკვე ნათლად იკვეთება.

„ჩემი წუხილის ნათლად წარმოჩინებისათვის, — ნათქვამია მიმართვაში, — გიგზავნით ჩვენი პარტიის რეგიონალური სამსახურის უფროსის ლაშა გვასალიას ოფიციალურ ანგარიშს.

ულრმეს მადლობას მოგახსენებთ წინასწარ, საქართველოსთვის და დემოკრატიული განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების არსში გარკვევისა და მათზე რეაგირებისათვის".

ნატა ნიბლაძე

◉ გაბრაზებულ გულზე

მსახიობი ნოდარ მგალობლიშვილი მიიჩნევს, რომ ადამიანის როგორც ბოროტებას, ისე სიკეთეს, ზღვარი არ აქვს. ამიტომ, მისი აზრით, საზოგადოება ხელისუფლებისგან დაგეგმილი ყველანაირი წინააღმდეგობისთვის მზად უნდა იყოს.

**ნოდარ მგალობლიშვილს Presage.tv ესაუბრება.**



## „საბოლოოდ ერთი ვირთაგვა რჩება და იმ ერთს ქართველი ხალხი ბოლოს მოუღებს"

**— ქართველი ხალხი შეეჩვია, რომ გამოდის ქუჩის აქციებზე, შემდეგ სახლში ბრუნდება და ასე გრძელდება გაუთავებლად. ამ შემთხვევაში, რა შეიცვალა ხალხის მენტალობაში, რომ 27 მაისს ერთდღიან აქციაზე გასასვლელად მზადყოფნას გამოთქვამს და, ამავე დროს, იცის, რომ ამ ერთ დღეში ხელისუფლება არ დამთავრდება?**

— ჩემი აზრით, 7 ოქტომბრამდე ხალხი მიჩვეული იყო, რომ ვიღაც დაუძახებდა, გავარდებოდა სუყველა, დადგებოდნენ ტრიბუნასთან, მთავრობის სასახლის წინ, იყო „გადადექი, გადმოდექი"-ს ძახილი და ეს ყველაფერი იქამდე მივიდა, რომ ხალხს უკვე არავითარი იმედი აღარ აქვს, რომ ვინმე დაუძახებს და რაღაც შეიცვლება, მაგრამ საზოგადოებამ ერთი რამ უნდა გაიგოს, 7 ოქტომბრამდე ისე მიწყნარებული და მკვდარი იყო პოლიტიკური სეზონი, რომ ასე გაგრძელება შეუძლებელი იყო. ამიტომ, ხალხი აუცილებლად უნდა გამოვიდეს 27 მაისს, რათა გაიგოს, რა სიახლეა თავისუფლების მოედანზე მოწყობილ შეკრებაში. ამ გამოსვლას კვლავაც იგივე რომ მოჰყოლოდა — ახლა წავიდეთ სახლებში და შემდეგ კიდევ ვიყვიროთ „გადადექი, გადადექიო", რა თქმა უნდა, ხალხი ამას არ დაიჯერებდა და არ გაჰყვებოდა არავითარ მოძრაობასა თუ მოწოდებას. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანი, რომელიც პოლიტიკაში სრულიად სხვა სფეროდან მოვიდა, ერის საკეთილდღეოდ ყველაფერს გააკეთებს.

მართალია, ბიზნესი და პოლიტიკა რაღაცებში ერთად არიან, ხერხებიც თითქოს ჰგავს ერთმანეთს, იქაც საკუთარი აზრებისა და საკუთარი სურვილების გატანა აუცილებელია და საკუთარი მდგომარეობის დემონსტრირება ხდება, მაგრამ პოლიტიკა ძალიან სათუთია. ბიზნესი იმდენად სათუთი არ არის, როგორც პოლიტიკა, რადგან პოლიტიკა და დიპლომატია ეხება ყოველი ადამიანის სულს, ბიზნესი კი, პირველ რიგში, მატერიალურს ეხება და მერე გადადის სულზე. პოლიტიკა და დიპლომატია პირდაპირ სულის მკვებავია. ან შხამიანია ის საკვები, ანდა, არის სასარგებლო და საზოგადოების მომავალს კვებავს. აი, რა სჭირდება საქართველოს.

27-დან თუ არ დაიწყო ეს მოძრაობა, ამ ქვეყანას არავითარი პერსპექტივა არ ექნება და მისი დასასრული იქნება ნული. თავისუფლების მოედანზე 27-ში ისეთი ძალა გამოჩნდება, რომელსაც ყურის დაგდება სჭირდება და არა — მექანიკურად ნაბიჯის აყოლა. „პალატკების" გაწყობამ და იქ ლამის თევამ თავისი დრო მოჭამა.

**— მაგრამ, ალბათ, ესეც უნდა გაგვევლო.**

— იცით რა, ადამიანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ბოლოს და ბოლოს, ჭეშმარიტებამდე მივიდეს, რადგან ჭეშმარიტების დადგენა ადვილი არ არის. რა სჭირდება ამ საზოგადოებას, ჯერ ჩვენ არ ვიცით. რაც მთავარია, მოთმინება სჭირდება და რისთვის ვითმენთ? — არჩევნებისთვის. ეს კოალიცია გვეუბნება, რომ მოთმინებაა საჭირო, არავითარი ზედმეტი საქციელი არ შეიძლება, არჩევნებზე უნდა მივიდეთ და დავაფიქსიროთ საკუთარი არჩევანი. არ უნდა იყოს ასე: ჩემი ხმა რას იზამს, მაინც არაფერს, რა მნიშვნელობა აქვს ერთ ხმას, ეს აზრი უნდა მოისპოს.

ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ოქტომბრამდე ხელისუფლება პროვოკაციებზე უარს არ იტყვის და მოსალოდნელია, რომ ფორმიანებს თუ სამოქალაქო ფორმაში გადაცმულ პოლიციელებს ერთმანეთს დაუპირისპირებს. პროვოკაციის მორიგი მცდელობა ერთხელ უკვე ვიხილეთ, როცა იმერეთისკენ მიმავალ გზაზე ბიძინა ივანიშვილის კორტეჟი შეაჩერეს და მის რეაქციას ელოდნენ.

— სანამ ერთი ადამიანი მაინც იარსებებს ამ სამყაროში, მისი გონება განსაზღვრულია და ბოროტებისა და სიკეთის ზღვარს გადის. ახლა რამდენი მილიარდი ადამიანია დედამიწაზე და როგორ შეიძლება, წარმოვიდგინოთ, რომ ვიღაცას არ მოუვა რაღაც ავადმყოფური აზრი, რომელიც საზოგადოების წყობისთვის არასასარგებლო იქნება. ერთი რამის მჯერა, რომ ადამიანის ბოროტებასა და სიკეთეს ზღვარი არ აქვს, როგორც სიკეთეს, ასევე, — ბოროტებას. ამიტომ, სადაც კი რაიმე წინაღობა გამოჩნდება, ამისთვის საზოგადოება მზად უნდა იყოს. ამიტომ დაიგეგმა 27 მაისი, რომ ხალხმა დაინახოს, რას ითხოვს ახალი მოძრაობა. ბიძინა ივანიშვილი მოვიდა თუ არა პოლიტიკაში, აღნიშნა, მთელ ჩემს ქონებას ვდებ იმისთვის, რომ საქართველო სწორ გზაზე დავაყენო. მე არ ვებრძვი კონკრეტულად არავის, არამედ ვებრძვი მოძრაობას, რომელიც ამ ქვეყნის მომავლის დამთრგუნველია.

ეს სისტემა ადამიანის ყველაზე აქტიური ბუნების — თვითგამოხატვის საშუალებას არ იძლევა. ხალხი დაჩაგრულია, ადამიანებს რომ ვუყურებ, მეცოდება ჩემი თავიც და სხვაც, რადგან საზოგადოება ასეთ ურთიერთობაშია - რას იტყვის ის, რას გააკეთებს სხვა, რომ მერე მე ვისარგებლოო. ეს არის ყველაზე ცუდი საზოგადოებისთვის. ეს საშინელებაა, ანგარებითი დამოკიდებულება. ამიტომ არ მაქვს გარანტია, რომ მთავრობა თავისი მდგომარეობის შესანარჩუნებლად ყველაფერს არ გააკეთებს, ის დანაშაულზეც წავა, მაგრამ ამასაც ზომა და წონა სჭირდება, თუ როგორ უპასუხოს ამაზე საზოგადოებამ.

არჩევნებზე რომ მიხვალ, მერე უნდა დაიცვა შენი ხმები. რუმინეთში ხალხმა ხმა რომ მისცა და შემდეგ არასწორი შედეგები გამოცხადდა, საზოგადოება გამოვიდა და აღნიშნა, აქ იმიტომ ვდგავართ, რომ საკუთარი ხმები დავიცვათო. 8 საათზე, როცა ყველაფერი იკეტება, მაშინ უნდა იაქტიუროს ამომრჩეველმა და არ დაუშვას, რომ ვინმემ რაიმე დამატებით ჩააგდოს. ამას ორგანიზება სჭირდება. ახლა მმართველი პარტიაც აცხადებს, რომ გამჭვირვალე უნდა იყოს არჩევნები და დამკვირვებლები ჩამოვიდნენო, მაგრამ არჩევნები მაინც ყალბდება, დამონებული ხალხი კი ვის რაში სჭირდება, მით უმეტეს, ნატოში?!

**— ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი არ იცნობს ქართველი ხალხის ბუნებას და ამას 27-ში დაინახავს. თქვენი აზრით, ამდენი ხნის მანძილზე, რაც სააკაშვილი პრეზიდენტია, იგი ვერ ჩაწვდა ქართველი ერის ბუნებას? ამიტომაც დადის ვოიაჟებზე, როცა აქ წყალდიდობები, სტიქიები მძვინვარებს, ამიტომაც ყიდულობს ძვირადღირებულ საათებს, ამიტომაც მიმართავს გიორგი სიგუასნაირ ადამიანებს უცენზურო სიტყვებით?**

იხ. 4 გვ.

## პოზიცია

# ხალხისთვის კონსტიტუციის თავზე გადაფხრეწა დემოკრატიასთან ყოვლად შეუთავსებელია!

პრეზიდენტ სააკაშვილისადმი ბიძინა ივანიშვილის ღია წერილსა და წინასაარჩევნოდ ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე „ინტერპრესნიუსი“ პროფესორ ვასილ მაღლაფერიძეს ესაუბრა



**— ბატონო ვასილ, ბიძინა ივანიშვილის წერილს პრეზიდენტისადმი, რომლითაც მან უარი თქვა, ისარგებლოს საკონსტიტუციო ცვლილებებით, დიდი ხმაური მოჰყვა. შემფასებელთა უმრავლესობა ივანიშვილის მიერ გადადგმულ ნაბიჯს მორალურად და სამართლებრივად სწორად მიიჩნევს. თქვენი შეფასება როგორი იქნება?**

— ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილის ეს წერილი და, შესაბამისად, საქციელი არის ქართული პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა და არა მხოლოდ ბოლო დროის. ამ ნაბიჯით ივანიშვილი პოლიტიკაში ახალ წესებს ამკვიდრებს და პოლიტიკაში ზნეობრივ თამასას ძალიან მაღლა სწევს. მან თავის წერილში თქვა, რომ კონსტიტუციის ერთი ადამიანის სურვილის გამო შეცვლა არის უგუნურება და სახელმწიფოსთვის კონსტიტუციური საფუძვლის გამოცლა. ცხადია, რომ ეს ჩვენ ყველამ კარგად ვიცოდით. ეს ძალიან კარგად იციან მათაც, რომლებიც, სამწუხაროდ, საკუთარ ფუნქციად და პროფესიად აბსურდების მტკიცება-დასაბუთება გაიხადეს და რატომღაც მიაჩნიათ, რომ ეს არის მათი მოვალეობა.

ერთი ადამიანის გამო კონსტიტუციის შეცვლა ნიშნავს ამ კონსტიტუციის მოსახლეობისთვის თავზე გადაფხრეწას. მთავარი კი ისაა, რომ ასე ჩვენ დემოკრატიული არჩევნებისკენ ვერ წავალთ. ამიტომ, ივანიშვილის განცხადება, რომ არ აპირებს საკუთარი პოლიტიკური უფლებების მოპოვებას კონსტიტუციის უგულველყოფისა და სახელმწიფოს ნგრევის ფასად, არის ძალიან მნიშვნელოვანი და ამ ეტაპზე ჩვენთვის ძალიან საჭირო.

მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ცვლილებით ხელისუფლებამ და ხელისუფლებასთან დაახლოებულმა ჯგუფებმა ივანიშვილს უთხრეს - ვართ მაგარი ბიჭები, კონსტიტუცია გვიდევს ჯიბეში და რასაც გვინდა, იმას ვუზამთ. მაგრამ, რადგან შენც აღმოჩნდი მაგარი ბიჭი, ჩვენ შენს წილს მოგიჭრით და ნუღარ ვიჩხუბებთ. სამწუხაროდ, ჩვენში ამგვარი ქცევა ითვლებოდა პოლიტიკური ქცევის ნორმად და პოლიტიკოსობად. ცხადია, დავიწყებული იყო ხალხი, რომელსაც რეალურად ეკუთნის ეს კონსტიტუცია. ცხადია, ივანიშვილმა ამგვარ შეთავაზებაზე უარი თქვა და ამით „შუა“ საბოლოოდ გაიკრიფა.

ერთ მხარეს არიან ისინი, ვისაც მიაჩნიათ, რომ პოლიტიკოსობა კონსტიტუციის საკუთარი ინტერესების შესაბამისად მორგებაა, მეორე მხარეს კი არიან ისინი, ვინც მიიჩნევს, რომ კონსტუტუცია ეკუთვნის ხალხს. ახლა ივანიშვილის ამ ნაბიჯს ბევრი კუდს კი გამოაბამს, მაგრამ **ივანიშვილმა თქვა ის, რაც ყველამ ვიცით — კონსტიტუცია ერთი ადამიანისთვის არ უნდა იცვლებოდეს.** მან თქვა, რომ ანტისახელმწიფოებრივი და უკანონო თამაშის წესებს არ მიიღებს. **ვინც ერთი ადამიანისთვის კონსტიტუციის შეცვლას მისაღებად მიიჩნევს, ზნეობასთან და ლოგიკასთან სერიოზულ კონფლიქტშია.** ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია ისიც, რომ ივანიშვილმა ეს საკონსტიტუციო ცვლილება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად შეაფასა, მაგრამ აჯანყებისთვის არ მოუწოდებია. გარდა ამისა, მან ჩვეული თავდაჯერებულობით თქვა, რომ დარჩება, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, გააგრძელებს პოლიტიკურ საქმიანობას და ხელისუფლებას არჩევნებში დაამარცხებს. ჩემი აზრით, თუ რატომაა ივანიშვილი ასე თავდაჯერებული, ამის მიზეზი ხელისუფლებაში გარკვეულმა ადამიანებმაც იციან და სწორედ ეს იწვევს მათში ნერვიულობას.

**— როგორ შეაფასებდით ხელისუფლების რეაქციას ივანიშვილის განცხადებაზე და, თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორი შეიძლება იყოს ხელისუფლების პასუხი? ანუ ხელისუფლება გაითვალისწინებს თუ არა ივანიშვილის მოწოდებას და პრეზიდენტი მოაწერს თუ არა ხელს საკონსტიტუციო ცვლილებებს?**

— ერთხელ ივანიშვილმა განაცხადა — აბა, გაბედონ და არ დამიბრუნონ მოქალაქეობაო. ამ განცხადების შემდეგ ხელისუფლება ერთი დღე დუმდა, ივანიშვილს მოქალაქეობა არ დაუბრუნა, მაგრამ შემდეგ ხელისუფლებამ გაცილებით მეტი ცვლილებები გააკეთა და კონსტიტუცია შეცვალა. თითქოს ხელისუფლებას უკან არ დაუხევია, მაგრამ ამისთვის საკონსტიტუციო ცვლილება განახორციელა. ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნებასთან დაკავშირებული ისტორია ამით არ დამთავრდება და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

ხელისუფლებას გაუჭირდება იმის ახსნა, თუ რატომ არ აძლევს ადამიანს არჩევნებში სრულფასოვნად მონაწილეობის მიღების უფლებას. ჯერჯერობით, არც ერთი უცხოელი ექსპერტი არ ჩქარობს ამ საკითხზე აზრის დაფიქსირებას.

**— თქვენი აზრით, როგორი იქნება ივანიშვილის განცხადებასა და ხელისუფლების რეაქციაზე დასავლეთის რეაქცია? მედიაში აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ პრეზიდენტი ნატოს სამიტზე გამოსვლისას ამ თემასაც შეეხო და რიტორიკული კითხვა მოხდენილადაც დასვა — ბევრია ისეთი ქვეყანა, რომელსაც კონკურენტული გარემოს შესაქმნელად კონსტიტუციაში ცვლილებები შეაქვს და, რომელშიც ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვსო?**

— ის, რომ ბევრი არ არის ასეთი ქვეყანა, სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებებით დასავლეთში მოხიბლული არიან. არსებობენ დემოკრატიული ქვეყნები, მაგრამ არსებობს სინგაპური. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მიმდინარეობს დავა იმის შესახებ, კონსტიტუციის ერთი ადამიანისთვის შეცვლა კარგია თუ ცუდი, — ეს ჩვენს სასარგებლოდ და ჩვენთან დემოკრატიის ხარისხზე სულაც არ მეტყველებს. გავა დრო და ეს საკონსტიტუციო ცვლილება საქართველოსთვის ერთ-ერთ სამარცხვინო ლაქად დარჩება. აბსურდია მტკიცება, რომ ერთი ადამიანისთვის საკონსტიტუციო ცვლილებას რაიმე კავშირი აქვს დემოკრატიასთან და კონკურენტული გარემოს შეცვლასთან. ეს ისეთივეა, რომ ადამიანებმა საკუთარი ნაკლით იამაყონ, მაგრამ ეს ხომ ბავშვურია და პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს. მოდით, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და დავაკვირდეთ, რას იტყვიან მომხდარზე დასავლელი და ამერიკელი სერიოზული ექსპერტები და მიმომხილველები. როგორ შეიძლება ამერიკელებმა დადებითად შეაფასონ მომხდარი, როცა მათ თავად 230 წლის განმავლობაში კონსტიტუციაში, თუ არ ვცდები, 20-ზე ოდნავ მეტი ცვლილება აქვთ განხორციელებული. ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელმაც კონსტიტუცია ხალხს თავზე გადაახია, ამით ამაყობს და ცდილობს, დასავლეთი თავის დემოკრატიულობაში დააჯეროს. ჩვენ ჩეხოვის ერთი იმ პატარა მოთხრობის პერსონაჟს ვემსგავსებით, რომელიც ამაყობს, რომ მისი სიმთვრალისა და სიმთვრალეში არანორმალური ქცევის გამო მასზე გაზეთში დაიწერა.

**— ბრძანეთ, მოქალაქეობის დაბრუნება-დაუბრუნებლობის თემა ასე იოლად არ დასრულდებაო. დააზუსტეთ, რას გულისხმობთ?**

— როცა ადამიანს საკუთარ ქვეყანაში აუკრძალავ არჩევნებში მონაწილეობას და იმავდროულად გინდა დაგვაჯერო, რომ ამ ქვეყანაში დემოკრატიაა, ასე არ გამოვა. კაზუისტიკა და კანონებზე ძალადობა, ის, რომ ადამიანს საკუთარ ქვეყანაში უცხოდ გამოაცხადებ, სულაც არ ნიშნავს, რომ იგი ამ ქვეყნის შვილი აღარაა და ამ ქვეყნისთვის უცხოა. ეს არ გახლავთ მარტო ივანიშვილის საკითხი. ვერავინ იტყვის, რომ ის გზა, რომელიც ხელისუფლებამ აირჩია, რათა ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობა მიეღო, კანონიერია. ჩემი აზრით, ამ თემაზე მკვახე განცხადებების მიუხედავად, ხელისუფლებას სერიოზული მსჯელობა და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. დარწმუნებული ვარ, ჩვენ და მთელ საზოგადოებას ამ თემაზე საუბარი არც თუ ისე შორეულ მომავალში მოუწევს.

**— როგორ შეაფასებდით არჩევნებამდე 6 თვით ადრე ქვეყანაში არსებულ ვითარებას?**

— კარგია, რომ ცვლილებების მოლოდინი არჩევნებს უკავშირდება და არა — აქციებს. ჩვენ ვართ იმ სტადიაში, როცა ხელისუფლებას არაფრის შეცვლა არ უნდა, მეორე მხრივ ვხედავთ, რომ სულ უფრო მეტი ადამიანია განწყობილი ცვლილებებისთვის. ესეც სრულიად ნორმალური პროცესია. არც ერთ ქვეყანაში ხელისუფლებას ძალაუფლების დაკარგვა არ უნდა და ეს გასაგები უნდა იყოს ყველასათვის. ახლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ საარჩევნო პროცესი წარიმართოს მაქსიმალურად სამართლიანად, გამჭვირვალედ და მხოლოდ ამ პირობებში დადებული შედეგი იქნება ის, რასაც ყველა უნდა შევეგუოთ.

**თუ პროცესი წარიმართა არასამართლიანად, მაშინ ეს პროცესი სხვა კალაპოტში გადავა. ჯერჯერობით, ჩვენ არჩევნებისკენ მივდივართ. ბუნებრივია, ხელისუფლებას ძალაუფლების შენარჩუნება უნდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საზოგადოებას ცვლილებები სურს. თუ ჩვენ ევროპასა და ამერიკას გადავხედავთ, იმასაც შევამჩნევთ, რომ იქ ხელისუფლების ცვლა და დემოკრატიული ცვლილებები ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ, თუ შევხედავთ სინგაპურს, დავრწმუნდებით, რომ ამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები არა პოლიტიკურ ცვლილებებზე, არამედ ერთი პოლიტიკური გუნდისა და ერთი პოლიტიკური ლიდერის მუდმივად ხელისუფლებაში ყოფნაზეა ორიენტირებული.**

**კობა ბენდელიანი**

## გაბრაზებულ გულზე

# „საბოლოოდ ერთი ვირთაგვა რჩება და იმ ერთს ქართველი ხალხი ბოლოს მოუღებს“

(მესამე გვერდიდან)

—სააკაშვილი ძალიან კარგად იცნობს ქართველი ადამიანის თვისებასა და ბუნებას, მაგრამ ისე გათავხედებულია თავისი ძალაუფლებით და ისე ლაპარაკობს დამატებით ორ-სამ წელიწადზე, ხუთ წელიწადზე, მერე 20 წლის, 50 წლის შემდეგ ხელისუფლებაში ყოფნაზე, რომ, რა, მეფეა?! უფლისგან აქვს მიცემული სამუდამოდ ქვეყნის მართვის უფლება? მე მგონი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებით იგი იმდენად არაადეკვატურია, რომ რას ლაპარაკობს, თვითონაც აღარ იცის. იმდენად შეშინებულია მომავლით, რომ რა იქნება, უკვე ამას ხედავს.

როგორ შეიძლება, არ იცოდეს, ვისთან აქვს საქმე? მაგრამ იფიქრა, მე რომ წიხლს დავაჭერ ერთ ადამიანს, ამით მეორე შეშინდებაო. აქამდე ამას მიაღწია, ახლა კი აღმოაჩინა, რომ ერთმა ადამიანმა სრულიად შეცვალა განწყობა და სიტუაცია. ძალიან კარგად იცნობს ბიძინა ივანიშვილს, სააკაშვილმა იცის, რა შეიძლება მოხდეს. კერძოდ, ერი უცებ განრისხდეს. საერთოდ, ყველა ადამიანში თუ ერში ასე ხდება. ახლა ჩვენ ვიძახით, ქართველები განსაკუთრებული ერი ვართო. რასაკვირელია, საამაყო გვაქვს. ასი ათასი მოწამე რომ გვყავს და ექვსი ათასი საეკლესიო მოძღვარი რომ გაჟლიტეს ქრისტიანობისთვის, ეს ერის განსაკუთრებულობას მიუთითებს. ამისთანა ერი არსებობს და შენ, ხელმძღვანელი რომ ხარ, ამას ანგარიში უნდა გაუწიო.

არაჩვეულებრივი რეიტინგით მოვიდა ეს ხელისუფლება, მათ შეეძლოთ, 50 წელიწადი ყოფილიყვნენ სათავეში, ოღონდ ქვეყანა წესიერად ემართათ. რად უნდოდათ ამდენი შეშინება, დაჭერა, თავში ჩარტყმა, ქუჩაში მკვლელობები, ახალგაზრდობის განადგურება?! ეს აბსოლუტური უჭკუობაა. არავითარი ფაშიზმის გამომსახველი ეს არ არის, არამედ ეს არის უჭკუობა.

**— ტრადიციების აღმოფხვრას, ალბათ, ნაწილობრივ მიაღწიეს. ჩვენ ვიხილეთ გეიაღლუმი, რასაც აქამდე საქართველოში აშკარად ვერავინ ბედავდა.**

— ვფიქრობ, ვერ მიაღწიეს, პირიქით, უფრო გაღიზიანდა ის ნაწილი, რასაც ქართველი ერი ჰქვია. ჩვენმა ხელისუფალმა ძალიან ცუდი რამ ჩაიდინა და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, რაც მოხდა, ძალიან კარგია. ქართველი ერი მიძინებული იყო და მან გამოაღვიძა. მიშას ჭკუა რომ ჰქონოდა, თავისი საქციელით, კარგი მოპყრობით, პატარ-პატარა „ქრთამების“ მიცემით ქართველ ერს აბსოლუტურად გაანადგურებდა. თანაც ისე, რომ ვერც გაიგებდა ამას მოსახლეობა.

**— როგორც ეს თავის დროზე ვორონცოვმა გააკეთა?**

— სხვათა შორის, ვორონცოვის პერსონა დღესაც გაურკვეველია — დადებითი როლი შეასრულა თუ უარყოფითი? ძალიან ბევრ საკითხში — დადებითი. ეს ფაქტებია, მაგრამ იმ დროს როგორ დააბეჩავა ერი? ქეიფებზე გადავედით. ასეთი რამის გაკეთება ამასაც შეეძლო, მაგრამ ამდენი ჭკუა არ ეყო, რადგან ბოროტებას მოკლე ჭკუა აქვს. ახლა ამბობს, საქართველოში მენტალური რევოლუცია მოხდაო. მაგას ჰგონია, რომ დღეს, კომპიუტერიზებულ ეპოქაში, რასაც შელამაზებულად იტყვის, მის უკან მიჩქმალულ რეალობას ვერავინ დაინახავს. ბოლოს და ბოლოს, ტელეფონი არსებობს, დავრეკავ და სინამდვილეს გავიგებ. თქვენ გგონიათ, გიორგი სიგუა საქართველოში ცხოვრობს? მაგრამ ამერიკაში, ათეულ ათასობით კილომეტრზე, ინფორმაციის გადატყორცნა კომპიუტერის საშუალებით ხდება. ყველამ იცის სინამდვილე და ვის რას ატყუებს? ჩვენისთანა ქვეყანა არ არსებობს არსადო, — ყველგან იძახის. ევროპაში არ არის ამისთანა ქალაქი, წყალტუბო რომ არისო! კაცი აბსოლუტურად სხვა სამყაროშია. იმ ორას ადამიანს, ვინც ყვლეფდა ჩვენს ქვეყანას, დაედო ნაყაჩაღარი ფულის ნახევარი მაინც და ამ ქვეყანას მიწასთან გაასწორებდნენ. მათი მიზანი ხომ ქვეყნის განადგურებაა? ხომ ეს უნდოდათ? მაგრამ იმდენად ხარბები არიან, ესეც ვერ გაიმეტეს. მიშა ამისთვისაც ვერ გაიმეტებს მოგროვილ ფულს, ისევ სხვებს დაიბარებს და ფულს დაადებინებს. ერთი ნაციონალი დადებს თანხას, მეორეც დადებს, მაგრამ თვითონ მიშა არ დადებს. მერე ნაციონალები ერთმანეთს ვირთაგვებივით დაერევიან. როგორც წესი, ვირთაგვები ერთმანეთს ჭამენ და საბოლოოდ ერთი ვირთაგვა რჩება და იმ ერთს ქართველი ხალხი ბოლოს მოუღებს. ერის განადგურება უნდათ, მაგრამ არ იციან, რით გაანადგურონ, ამის შნოც კი არ აქვთ. არადა, შეეძლოთ, იმ ზომამდე მიეყვანათ ქვეყანა, ხალხს ეთქვა, აღარ მინდა, არაფერი, ოღონდ მომკალითო. ასე რომ გაეკეთებინათ, პროტესტის გრძნობაც ისე გამძაფრდებოდა, ხალხი სხვანაირად მოიქცეოდა. ზოგადად, პროტესტის გრძნობა ისეა აღზევებული ადამიანის შინაგან ბუნებაში, რომ ასეთი ადამიანი მზადაა, დახვდეს მოწინააღმდეგეს და სულ რომ არაფერი, ქვა მაინც ესროლოს.

**მანანა ნოზაძე**

განსჯა

# ვარსკვლავური ტურიზმი და სააკაშვილის 5-იანები

## მომსახურების სიძვირე და ტურისტთა სიმრავლე შეუთავსებელი ცნებებია

**სააკაშვილის 5-იანი იმდენად უყვარს, რომ ყველაფერში ამ ციფრს ხედავს. მაგალითად, მისი ახალი შეკვეთაა 5 მილიონი ტურისტი და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროები. 5 მილიონ ტურისტს ქაღალდზე როგორღაც „გამოიყვან“, მაგრამ სასტუმროებს რომ ბევრი ფული უნდა? და, სხვათა შორის, მილიონობით ტურისტს 2 და 3-ვარსკვლავიანი ოტელები უფრო სჭირდება, ვიდრე სუპერთანამედროვე ნაგებობები.**

სულ რაღაც რამდენიმე კვირაში სტეფანწმინდაში 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო იხსნება. მსგავსი სასტუმროს გახსნა იგეგმება ბორჯომშიც. თუმცა, ყაზბეგი ოდენ 4-ვარსკვლავიანი ოტელის იმედად არ არის. რაიონის გამგებლის ვიქტორ სუჯაშვილის თქმით, აქ აშენდება სასტუმროები და მოეწყობა ტურისტული ინფრასტრუქტურა.

მისივე განმარტებით, ერთი 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო უკვე 2013 წლის მაისში გაიხსნება. სარეაბილიტაციო სამუშაოები კი, სავარაუდოდ, გაისად დასრულდება.

თუკი სტეფანწმინდაში ელიტური სასტუმროების ასეთი ბუმია, სხვა რეგიონებმა რა დააშავა, რა თქმა უნდა, არაფერი. ჰოდა, ბორჯომშიც ორი ახალი 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო შენდება. ეს მდიდრული ოტელები, რომელიც, სავარაუდოდ „კემპინსკის“ მსოფლიო ბრენდის ქვეშ იმუშავებს. სასტუმრო დამსვენებლებს 2013 წლიდან მიიღებს. ბორჯომში 100-ნომრიან სასტუმროს კი „ჰოლიდეი ინის“ ოპერატორი „აჭარა გრუპი“ ააშენებს.

ამ რამდენიმე თვის წინათ ყოვლად უქმ და უინტერესო კურორტ ანაკლიაში 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო გაიხსნა და მუშაობს კიდეც (თუ ამას მუშაობა ჰქვიაძ. ანაკლიური „ოქროს საწმისის“ მშენებლობაში წვლილი „საქართველოს ბანკმაც“ შეიტანა და 2 მილიონი დოლარის მოცულობის სესხი გამოყო.

ამ ყველაფრის შემხედვარე ჩნდება ერთადერთი შეკითხვა — **ვის რად უნდა საქართველოში ასეთი მაღალი დონის სასტუმროები, სადაც ერთი ღამის გათევა მინიმუმ 200 დოლარი ღირს, ხოლო ფინჯანი ყავის ფასი 10 ლარიდან იწყება?** ადგილობრივი მოსახლეობა ასეთ ოტელებში ცხვირს არათუ ახლა, მრავალი წლის შემდეგაც ვერ შეყოფს. საზღვარგარეთ მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოსული ტურისტები იმას ცდილობენ, საქართველოში როგორმე იაფად და თავისი ჯიბის შესაფერისად დაისვენონ. ამერიკელი, იაპონელი და ევროპელი შეძლებული ტურისტი აქ არ ჩამოდის და უცხოპლანეტელებიც არსად ჩანან.

არადა, ხელისუფლებას ამბიციური გეგმები აქვს 5 მილიონი ტურისტთან დაკავშირებით (შარშან 3-მილიონი გეგმა ხომ შესრულდა და ამჯერად სააკაშვილის ახალ გეგმა-ვალდებულებაზე უნდა იზრუნონძ. ასეთ პირობებში, წესით და რიგით, გათვლები არა 5-ვარსკვლავიან სუპერთანამედროვე სასტუმროებზე, არამედ 3 და 2-ვარსკვლავიან ოტელებზე უნდა გაკეთდეს.

**„სააკაშვილი იმით ამაყობს, რომ ბათუმში „კემპინსკი“ და „შერატონი“ გვაქვს, სადაც დღე-ღამეში მომსახურება 300 ევროს შეადგენს, ასე ტურიზმი ვერ განვითარდება. თუმცა, თუ ჩვენი ხელისუფლება გათვლებს ელიტურ ტურიზმზე აკეთებს, მაშინ მას სწორი გზა აქვს არჩეული“,** — აცხადებს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი.

უცხოეთიდან ჩამოსულ ტურისტებს არა მაღალი კლასის სასტუმროები, არამედ 3-ვარსკვლავიანი, სუფთა, მოწესრიგებული და ფასის მხრივ ხელმისაწვდომი ოტელები სჭირდებათ. თანაც, დიდი რაოდენობით ტურისტების მიღება სასტუმროების სფეროში არაპროფესიონალი კადრების კომპენსირებას ვერ მოახდენს.

3 და 2-ვარსკვლავიანი სასტუმროების ნაკლებობას აღიარებენ „გლობალ სტარშიც“. როგორც კომპანიის დამფუძნებლმა დავით სუჯაშვილმა რადიო „კომერსანტს“ განუცხადა, საქართველოში 20-მდე 3-ვარსკვლავიანი სასტუმროა მაშინ, როდესაც ქვეყანაში ამ ტიპის სასტუმროებზე მოთხოვნის 70%-ზე მეტი მოდის.

2 და 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების სიმცირეს ადასტურებენ საქართველოს რეგიონების ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებშიც და აცხადებენ, რომ ამ მხრივ ნაბიჯები უკვე იდგმება.

**ეკა ბაქრაძე,**
Presage.tv



გაფრთხილება

12 მაისს თბილისში მომხდარმა ტრაგედიამ, რომელსაც ოთხი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, საზოგადოებაში ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. კერძოდ, რა გახდა ტრაგედიის გამომწვევი მიზეზი, შესაძლებელი იყო თუ არა მომხდარის თავიდან აცილება და არსებობს თუ არა ძლიერი წვიმის შემთხვევაში ანალოგიური სიტუაციის განმეორების საფრთხე. **„ჯი-ეიჩ-ენს“** არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანეთა მოძრაობა–დედამიწის მეგობრები“ ხელმძღვანელი **ნინო ჩხობაძე** ესაუბრა.



მცხეთა-მთიანეთში, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან გლობალური დათბობის პირობებში წვიმიდან შემოსული ნალექის რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება, ანუ ერთჯერად, შესაძლოა, მოვიდეს წვიმის ისეთი რაოდენობა, რაც, ვთქვათ, ერთ სეზონზე უნდა მოსულიყო. შესაბამისად, ქალაქი, რაიონები, დაბები ამ კატასტროფული მოვლენებისთვის მზად უნდა იყოს.

მოსახლეობა მდინარის კალაპოტში არ უნდა ცხოვრობდეს, რადგან მდინარის ადიდების შემთხვევაში, მათ სახლებს ნგრევა ემუქრება, რაც რამდენიმე დღის წინათ მოხდა. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ მხოლოდ 12 მაისის ტრაგედიის შემდეგ დაიწყო. ე.წ.

# ძლიერი წვიმის შემთხვევაში, შესაძლოა, ტრაგედია ისევ განმეორდეს

**— ქალბატონო ნინო, თბილისში მომხდარ ტრაგედიას საზოგადოების ნაწილი სანიაღვრე სისტემის გაუმართაობას უკავშირებს. როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.**

— ზუსტად ეს არის ერთ-ერთი მიზეზი მომხდარი უბედურების და კიდევ ის, რომ ხევები გაწმენდილი არ არის. თბილისში 60-იან წლებში, როცა მდინარე კოჯრის წყლის ადიდების შედეგად გოგირდის აბანოებში ხალხი დაიხრჩო, მიიღეს გადაწყვეტილება და თბილისში ყველა ხევი მუდმივად მოწმდებოდა და შესაბამისად იწმინდებოდა. სამწუხაროდ, დღეს ეს სისტემა აღარ არსებობს და ამას ემატება სანიაღვრე სისტემების გაუმართაობა და მოუწესრიგებლობა.

**— თუ ფლობთ ინფორმაციას ბოლოს როდის მოხდა სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია?**

— სანიაღვრე სისტემებზე პასუხისმგებელი თბილისის წყალკანალი იყო. დღეს წყალკანალი გასხვისებულია და თბილისის წყალმომარაგებას კერძო კომპანია უზრუნველყოფს. თუმცა აღმოვაჩინეთ, რომ თბილისის წყალკანალის გასხვისების შემდეგ სანიაღვრე სისტემა კერძო კომპანიის მფლობელობაში არ გადასულა. ახლა აღნიშნული სისტემა თბილისის მერიას ეკუთვნის და შესაბამისად პასუხისმგებლობა მას ეკისრება. არაერთხელ დაგვისვამს საკითხი, რომ აუცილებლია სანიაღვრე სისტემების გამართულად მუშაობა, რადგან სანიაღვრე სისტემა არ არის მხოლოდ წვიმის წყალი. ეს არის სადრენაჟო წყლები, ხევები, სადაც კოლექტორებია აშენებული. ვარაზის ხევზე, რომ დავდივართ, შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ იქ პატარა მდინარე ვარაზი ჩამოდის. ამ ტერიტორიაზე აშენებულია კოლექტორი და მდინარე ფაქტობრივად, მოქცეულია, ასე ვთქვათ, მიწის ქვეშ.

მინდა გითხრათ, რომ ზოგადად არსებობს რამდენიმე ტიპის სანიაღვრე სისტემა: ერთი ეს არის მიწისქვეშა წყლების შემგროვებელი სისტემა, მეორე — წვიმიდან მიღებული წყალი, რომელიც გზის სავალ ნაწილზე არ უნდა გროვდებოდეს და უნდა ჩაედინებოდეს სანიაღვრე სისტემაში და მესამე ეს არის პატარა მდინარეები, რომელიც დედაქალაქში საკმაოდ უხვადაა და ისინი საბოლოო ჯამში სანიაღვრე სისტემას უერთდებიან. მთავარი, რაც სანიაღვრე სისტემებს უკავშირდება, არის ის, რომ იგი არავითარ შემთხვევაში საკანალიზაციო სისტემას არ უნდა უერთდებოდეს და დამოუკიდებლად უნდა არსებობდეს.

**— დღეს რა რეალობა გვაქვს ამ მიმართულებით?**

— სიტუაცია, ამ მიმართულებით არასახარბიელოა. სამწუხაროდ, აღმოვაჩინეთ, რომ ახალი კორპუსების სანიაღვრე სისტემა მიერთებულია საკანალიზაციო სისტემა-



ზე. შესაბამისად, როცა სანიაღვრე სისტემებზე პასუხისმგებელი თბილისის მერიაა, სწორედ მან უნდა იზრუნოს ამ ხარვეზის გამოსწორებაზე. შესაბამისად აღნიშნული სისტემის მოუწესრიგებლობა გახდა თბილისში მომხდარი ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი. მეორე მიზეზი კი გახდა ის, რომ ორთაჭალაში ხევი გაწმენდილი არ იყო. მოგეხსენებათ, ორთაჭალაში მოდის პატარა მდინარე შინდისის წყალი, რომელიც წვიმის შედეგად ადიდა, კოლექტორმა წყალი ვერ გაატარა, რადგან ხეებმა ბუნებრივი გასასვლელი ჩახერგა, რის გამოც წყალი დაგროვდა და ტრაგედია გამოიწვია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კოლექტორის ბრალეულობა ნაკლებ სავარაუდოა, რადგან პირველ რიგში მდინარის ხეობა ხეებისგან გაწმენდილი უნდა ყოფილიყო, რაც ამ შემთხვევაში ასე არ ყოფილა.

**— ქალბატონო ნინო, გულუას მოედანზე ყოფნისას მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ საფრთხეს ელოდებოდნენ, თუმცა არა პირდაპირ თბილისის ცენტრში. პრეზიდენტის განცხადებიდან ირკვევა, რომ ხელისუფლება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ მეტ-ნაკლებად ინფორმირებული იყო, თუმცა ადეკვატური ნაბიჯები არ გადაუდგამს. როგორ ფიქრობთ, რა არის მიზეზი?**

— ის, რაც დატრიალდა თბილისში, ლაგოდეხში, გურჯაანსა და ბარაკების დემონტაჟი. თუმცა ვიღაცამ ხომ დაუკანონა ამ ხალხს სახლები? ანუ ის, რომ სახლები ზედ სანიაღვრე არხზე და მდინარის კალაპოტშია აშენებული, ამის შემოწმება ხომ შესაძლებელია. ამიტომ სანიაღვრე სისტემასთან მიმართებაში კონტროლი ძალიან მნიშვნელოვანია. მარტივი მაგალითი იმისა, რომ სანიაღვრე სისტემების მოწესრიგებაზე არ ვფიქრობთ, არის ის, რომ თუნდაც, თბილისში ყოველ შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციამ ვერ მივაკვლიეთ სანიაღვრე არხებზე პასუხისმგებელ სტრუქტურას, თუ რომელ უწყებას დაუქვემდებარა მერიამ აღნიშნული სამსახური და ვინ აწარმოებს მონიტორინგს, ხეობებზე ვინ ატარებს მოკვლევას და ა.შ. საბჭოთა პერიოდში იმის გარდა, რომ აღნიშნული სისტემა წყალკანალს ჰქონდა მიბარებული და სწორედ ის იყო ვალდებული გაეწმინდა სანიაღვრე არხები, ამის გარდა, ქალაქში გარემოსდაცვითი სტრუქტურაც არსებობდა, რომელსაც ევალებოდა გაეკონტროლებინა ის, რომ სანიაღვრე არხები საკანალიზაციო სისტემაზე მიერთებული არ ყოფილიყო. სამწუხაროდ, დღევანდელი სტრუქტურა, რომელიც წესით პასუხისმგებელია გარემოსდაცვით საკითხებზე, დაკავებულია მხოლოდ გამწვანების ფუნქციით და მის შემადგენლობაში არ შედის სანიაღვრე სისტემების კონტროლი.

**— თუ არ არსებობს სტრუქტურა, რომელსაც ევალება სანიაღვრე სისტემების კონტროლი, მომხდარი ტრაგედიიდან გამომდინარე ვისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს?**

— ამ შემთხვევაში მთავარი ის კი არ არის თუ რომელი ერთი კონკრეტული პირია დამნაშავე, არამედ ის, რომ მთლიანად სისტემა არ არის ისე გამართული, როგორც უნდა იყოს.

**— რამდენადაც ცნობილია, თქვენი ორგანიზაციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ მდინარის სათავეში და უშუალოდ დაათვალიერეთ შემთხვევის ადგილია. რა ვითარება დაგხვდათ?**

— ხევში არანაირი სამუშაოები არ მიმდინარეობს და ხევის გაწმენდაზე ამ ეტაპზე არავინ ფიქრობს, რაც დამატებით ქმნის საფრთხეს. ხეები ხეობაში ისევ ჩახერგილია და თუ წყლის მაქსიმალური რაოდენობა ისევ მოვიდა, შესაძლოა, იგივე საფრთხის წინაშე აღმოვჩნდეთ.

**მირანდა ნაბახტეველი**

## დემოგრაფია: ჩვენი ცნობარი

გურიის მხარე, თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, მოიცავს ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს. იგი წარმოდგენილია ორი ქალაქითა (ოზურგეთი, ლანჩხუთი) და ხუთი დაბით (ლაითური, ნარუჯა, ურეკი, ქვედა ნასაკირალი, ჩოხატაური). გურიის მხარეში 186 სოფელია, მისი ფართობი საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით სამი პროცენტია. საქართველოს სამხარეო ერთეულებს შორის მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით მას მეცხრე ადგილი უკავია და მხოლოდ მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეებს აღემატება. გურიის მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე 73 კაცს შეადგენს.

გურია დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარის ისტორიული სახელწოდებაა. ფეოდალურ ხანაში გურია ადმინისტრაციული და პოლიტიკური ერთეული იყო (ჯერ საერისთავო, შემდეგ სამთავრო). როგორც ფეოდალური სამთავრო, იგი XV საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე არსებობდა. იგი წარმოიქმნა საქართველოს სამეფოს დაშლის პერიოდში, ადრინდელი გურიის საერისთავოს ტერიტორიაზე. ისტორიულად გურია ძირითადად მოცავდა ახლანდელი ოზურგეთის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის ტერიტორიებს, თუმცა მასში ზოგჯერ აჭარა, ჭანეთის ჩრდილოეთი ნაწილი (გონიოს მხარე) და მაჭახელაც შედიოდა.

გურიის პოლიტიკურ-სოციალური წყობა და ურთიერთობანი ძირითადად საქართველოს ბარის სხვა მხარეთა მსგავსი იყო. XVI საუკუნეში გურიის ლაშქარი აქტიურად მონაწილეობდა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე. XVI საუკუნის მე-2 ნახევრიდან გურია ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოექცა, რაც განპირობებული იყო სამხრეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობით.

XVII საუკუნის დასაწყისი მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ძლიერების ხანა იყო. ამ დროიდან იგი პოლიტიკურ ურთიერთობას ამყარებს რუსეთის სახელმწიფოსთან, დონისა და ზაპოროჟიეს კაზაკებთან და პოლონეთთან. გურიის სამთავრო აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართლისა და კახეთის სამეფოთა ანტიირანულ ბრძოლაში. ამავე საუკუნის შუა წლებიდან მდგომარეობა გაართულა დასავლეთ საქართველოში გაჩაღებულმა შინაომებმა. 1723 წლიდან კი გურიის ზღვისპირა ციხეებში ოსმალთა გარნიზონები ჩადგნენ. XVIII საუკუნის შუა წლებში სამთავრო ერეკლე II-ის დახმარებით ცდილობდა ოსმალთა განდევნას. იმერეთში სოლომონ I-ის გამეფების შემდეგ გურიის მთავარი აქტიურად მონაწილეობდა იმერეთის მეფის ანტიოსმალურ ღონისძიებებში.

XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში გურია ოსმალთა შემოსევების ასპარეზად იქცა. 1810 წელს მამია V გურიელმა რუსეთთან მფარველობითი ხელშეკრულება დადო და გურია რუსეთის იმპერიაში შევიდა, როგორც ავტონომიური სამთავრო. მის შედეგად ოსმალთა შემოსევები შემცირდა. მამია V გურიელის დროს (1809-1826 წლები) მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: გაუმჯობესდა მმართველობის სისტემა, ჩატარდა მნიშვნელოვანი საალმშენებლო სამუშაოები, განვითარდა ვაჭრობა და შინამრეწველობა, დაწესდა ყოველწლიური იარმარკა, ევროპიდან მოიწვიეს მუსიკოსები და მსახიობები. 1829-1840 წლებში გურიას განაგებდა დროებითი მმართველობა. 1840 წლიდან კი გურია ოზურგეთის მაზრის სახით ქუთაისის გუბერნიაში შევიდა.

გურიის მოსახლეობის შესახებ მეტად მწირი დემოგრაფიული მონაცემები მოგვეპოვება. უცხოელ მოგზაურთა ცნობებზე დაყრდნობით, მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის შეგვიძლია მიახლოებით დავადგინოთ მხარის მოსახლეობის რაოდენობა. გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის ი. გიულდენშტედტის ცნობით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გურიაში 5 ათასი კომლი, ცხოვრობდა, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისისათვის გერმანელი ლინგვისტის, ეთნოგრაფისა და მოგზაურის ა. კლაპროთის ცნობით – 6 ათასი კომლი. ორივე ეს ცნობა გადაჭარბებულად მიაჩნიათ. მიახლოებითი გაანგარიშებით ამ პერიოდში კომლის საშუალო სულადობა 7,56 კაცს უდრიდა. აღნიშნულ ცნობებსა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით გაანგარიშებულია, რომ 1770 წელს გურიაში 4 ათასი კომლი ცხოვრობდა. თუ ამ მონაცემს კომლთა საშუალო სულადობაზე გავამრავლებთ (4000 კომლი x 7,56 სულზე), მაშინ გურიაში 1770 წელს 30,2 ათასი კაცი ცხოვრობდა, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 4 პროცენტს შეადგენდა. შემდეგ 60 წლის განმავლობაში გურიის მოსახლეობა თითქმის არ გაზრდილა – თურქ დამპყრობლებთან გამუდმებული ომები, ხშირი შინააშლილობა, ტყვეების სყიდვა ამძიმებდა დემოგრაფიულ ვითარებას. 1832 წელს გურიის მოსახლეობა 34 ათას კაცს უდრიდა.




# აქ 139 ათასი ქართველია...

**გურიაში განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადებების ფართოდ გავრცელება როგორც მთელ მოსახლეობაში, ასევე ბავშვებში, თანაც, 2009 წელს 2008 წელთან შედარებით ეს დაავადებები თითქმის ორჯერ გაიზარდა. 2009 ადამიანის სიცოცხლეში პირველად გამოვლენილმა ამ დაავადებამ, რომელიც ადრე არ იყო რეგისტრირებული, 1540 შემთხვევა შეადგინა, ანუ მოსახლეობის ყოველ ასი ათას კაცზე 1105 კაცი, რაც ორ-სამჯერ აღემატება ქვეყნის სხვა მხარეებთან შედარებით (ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი 400 კაცს უდრიდა). კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა ამ მხრივ ბავშვებში – ანალოგიური მაჩვენებელი 3,3-ჯერ მაღალია ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით და ასი ათას ბავშვზე გაანგარიშებით 4504 ბავშვს ჰქონდა სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადება.**

ამ მხრივ საინტერესოა თ. სახოკიას მიერ მოტანილი დემოგრაფიული ცნობაც: 1831 წელს გურიის მკვიდრნი აღუწერიათ. როგორც მოგზაური დიუბუა ამბობს, მაშინ გურია ორ სამოურავოდ განიყოფებოდა: ერთი იყო ოზურგეთისა და მეორე – ნაგომარისა. ოზურგეთის სამოურავოში 18 430 სული ცხოვრობდა და ნაგომარისაში – 18 270, ორივეში ერთად – 36 700 სული. რუსეთის იმპერიის 1897 წლის აღწერის მიხედვით გურიაში 92 ათასი კაცი ცხოვრობდა, ე. ი. იმჟამად გურიის მოსახლეობა 3-ჯერ გაიზარდა. 1959 წელს გურიის მოსახლეობა 146 ათას კაცს უდრიდა. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ეს რაოდენობა უმნიშვნელოდ მატულობდა. მოსახლეობის მატებას ძირითადად განსაზღვრავდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სისტემური ზრდა.

არსებული მონაცემების მიხედვით, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და განსაკუთრებით მე-20 საუკუნეში სწრაფად იზრდებოდა ქალაქი ოზურგეთი, რომელიც ადრე სატახტო ქალაქი იყო. ცნობილი საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია 1897 წელს წერდა:" იმ დროს, როცა ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქებს საღათას ძილით სძინავთ, ოზურგეთი, ეს პატარა და ღარიბი ქალაქი, წელებზე ფეხს იდგამს, ყველაფერს აკეთებს რათა გასაჭირს მოუაროს და წინ წავიდეს." ამ შემთხვევაშიც აშკარად ჩანს გურულის ცოცხალი ბუნება. გულს იმედი გესახებათ, როცა იმათ უყურებთ. ოზურგეთში 1865 წელს 700 კაცი ცხოვრობდა, 1886 წელს – 1 472, 1897 წელს – 4 694, ხოლო 1914 წელს-8 580 კაცი. ამ წელს უკვე მოსახლეობის რაოდენობით ოზურგეთმა გაუსწრო თელავს, ახალქალაქს, დუშეთს და სხვა ქალაქებს. ქალაქ ოზურგეთსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ყველაზე მეტი მოსახლეობა 1994 წელს ცხოვრობდა, შესაბამისად 22,5 ათასი და 95,8 ათასი კაცი. 2011 წელს ქალაქ ოზურგეთში 18,7 ათასი, ხოლო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 78,4 ათასი კაცი ცხოვრობდა, ანუ 1994 წელთან შედარებით თითქმის 17,4 ათასი კაცით ნაკლები.

ამავე პერიოდში ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა ლანჩხუთისა (43,5 ათასიდან 38,9 ათას კაცამდე) და ჩოხატაურის (28,3 ათასიდან 23 ათას კაცამდე) მუნიციპალიტეტებში. მთლიანად გურიაში კი 1994-2011 წლებში მოსახლეობა 167,6 ათასიდან 140,3 ათასამდე, ანუ 27,3 ათასი კაცით შემცირდა, რაც მცირერიცხოვანი გურიისათვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს გურიის ქალაქის მოსახლეობა 26,4 პროცენტს შეადგენდა, მაშინ როდესაც ქვეყნის მაჩვენებელი 53,0 პროცენტს უდრიდა. ეს მაჩვენებელი შედარებით მაღალია მხოლოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში – 34,6 პროცენტი, სამაგიეროდ ძალიან დაბალია ლანჩხუთსა (19,5 პროცენტი) და განსაკუთრებით ჩოხატაურის (10 პროცენტი) მუნიციპალიტეტებში.

გურიის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა შედარებით ერთგვაროვანი იყო. ქართველების გარდა აქ შედარებით დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ რუსები და სომხები. ისტორიულად გურია ძირითადად დასახლებული იყო ქართველი ტომებით. შუა საუკუნეებში გურიაში, კერძოდ ოზურგეთში, მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ სომხები და ებრაელები, რომლებიც აქ ვაჭრობასა და ხელოსნობას ეწეოდნენ, რის შესახებაც აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი. მიუხედავად ამისა, 1850 წლისათვის, როგორც, თედო სახოკია გადმოგვცემს „ოზურგეთში რომ არც სომეხი იყო და არც ებრაელი – ეს ეჭვს გარეშეა. მას მოწმობენ თვით დროული კაცები, ოზურგეთის მკვიდრნიო". ვაჭრობისა და ხელოვნების საქმე გურულებს თავის ხელში აულიათ.

მოსახლეობის უკანასკნელი, 2002 წლის აღწერის მიხედვით გურიის მთელ მოსახლეობაში ქართველების წილი 97 პროცენტს შეადგენდა, რუსებისა – 1,1, ხოლო სომხების – 2,2 პროცენტს. ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით ქართველი მოსახლეობის წილი შედარებით დაბალია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (95,4 პროცენტი). ასეთი ვითარება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს გურიაში მცხოვრები რუსების 73 პროცენტი და სომხების 91 პროცენტი. მოსახლეობის წინა აღწერაში ქართველების წილი გურიის მთელ მოსახლეობაში 90-93 პროცენტებში ფარგლებში მერყეობდა. მაგალითად, 1989 წელს ეს მაჩვენებელი 93 პროცენტს უდრიდა. ამავე წელს გურიაში 4,6 ათასი რუსი და 3,5 სომეხი ცხოვრობდა, ხოლო 2002 წელს 1,6 ათასი რუსი და 2,1 ათასი სომეხი. უკანასკნელ წლებში განვითარებული ცნობილი მოვლენების შედეგად არაქართველი მოსახლეობის ნაწილი თავის ისტორიულ სამშობლოში წავიდა საცხოვრებლად. ამის შედეგად ამაღლდა ქართველების წილი ქვეყნის მთელ მოსახლეობაში. ეს პროცესი გარკვეულ წილად გურიის მხარესაც შეეხო. ამასთან, ინტენსიურმა მიგრაციულმა პროცესებმა მოსახლეობაში საგრძნობი რაოდენობრივ-სტრუქტურული ცვლილებები გამოიწვია.

გურიაში მოსახლეობის ბუნებრივი მაჩვენებლები უკვე რამდენიმე ათეული წელია არადამაკმაყოფილებელია. ჯერ კიდევ 1985 წელს, გურიის მუნიციპალიტეტში შობადობა და განსაკუთრებით მოკვდაობა ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით გაცილებით უარესი იყო. კერძოდ, ამ წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ათას კაცზე 13,8 კაცი გარდაიცვალა, ხოლო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 15,9 კაცი, მაშინ როდესაც ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 8,8 კაცს უდრიდა. შობადობის შემცირება და მოკვდაობის გაზრდის შედეგად შემცირდა მოსახლეობის ბუნებრივი მატება. მაგალითად, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში 1985 წელს მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ 1000 კაცზე გაანგარიშებით შესაბამისად 2,4 და 1,1 კაცი შეადგინა, საშუალოდ ქვეყანაში კი ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო- 9,9 კაცი. უკანასკნელ წლებში, როცა მთელი ძალით იჩინა თავი ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულმა კატაკლიზმებმა, გურიის მხარეში, ისევე როგორც მთლიანად ქვეყანაში, დემოგრაფიული ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა. მართალია, მოკვდაობის დონე უცვლელი დარჩა, მაგრამ სამაგიეროდ შობადობის დონე უკიდურესად შემცირდა და მხარის სამივე მუნიციპალიტეტში მოკვდაობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა შობადობას, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობაში. 1996-2005 წლებში 10 წელიწადში გურიაში 5 818 კაცით მეტი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა. ამ მხრივ რაჭა-ლეჩხუმის შემდეგ ყველაზე ცუდი მდგომარეობაა გურიაში.

მე-20 საუკუნეში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, გურიაში განათლების დონე მაღალი იყო. ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ოზურგეთში ოთხი სასწავლებელი ემსახურებოდა სწავლა-განათლების საქმეს, რომელთაგან ყველაზე ძველი, სასულიერო სასწავლებელი 1846 წელს დაარსდა, ხოლო საქალაქო სასწავლებელი – 1874 წელს. 1896 წელს ოზურგეთის ოთხივე სასწავლებელში 681 მოსწავლე სწავლობდა, მაგრამ ისეთი დიდი იყო სწავლის მსურველთა რიცხვი, რომ ეს სკოლები ყველა მთხოვნელს ვერ აკმაყოფილებდა. აღსანიშნავია, რომ 1890 წელს ოზურგეთში გაიხსნა სტამბა, სადაც უბრალო ბლანკებსა და მოპატიჟების წერილებთან ერთად წიგნებიც იბეჭდებოდა. აღსანიშნავია, რომ სტამბები ამ პერიოდში მხოლოდ თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში არსებობდა.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის პროცესებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა. გურიაში ამ მხრივ მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა. სულ უფრო მეტად იზრდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც სასწრაფო დახმარებას საჭიროებენ. მაგალითად, 2005 წელს სასწრაფო სამედიცინო დახმარება 12 ათას კაცს გაეწია, ხოლო ოთხი წლის შემდეგ, 2009 წელს – 28 ათას კაცს, ანუ 2,3-ჯერ მეტს.

გურიაში განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადებების ფართოდ გავრცელება როგორც მთელ მოსახლეობაში, ასევე ბავშვებში, თანაც, 2009 წელს 2008 წელთან შედარებით ეს დაავადებები თითქმის ორჯერ გაიზარდა. 2009 ადამიანის სიცოცხლეში პირველად გამოვლენილმა ამ დაავადებამ, რომელიც ადრე არ იყო რეგისტრირებული, 1540 შემთხვევა შეადგინა, ანუ მოსახლეობის ყოველ ასი ათას კაცზე 1105 კაცი, რაც ორ-სამჯერ აღემატება ქვეყნის სხვა მხარეებთან შედარებით (ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი 400 კაცს უდრიდა). კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა ამ მხრივ ბავშვებში – ანალოგიური მაჩვენებელი 3,3-ჯერ მაღალია ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით და ასი ათას ბავშვზე გაანგარიშებით 4504 ბავშვს ჰქონდა სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადება.

გურიის მოსახლეობის განაწილება სარწმუნოების მიხედვით თავისებურებებით ხასიათდება. მოსახლეობის 88,7 პროცენტი მართლმადიდებელია, ხოლო 9,6 პროცენტი მაჰმადიანი, თითქმის მთლიანად ქართველები. კერძოდ, გურიაში 13,7 ათასი მაჰმადიანი ცხოვრობს და აქედან 13,6 ათასი ქართველია, ანუ მთელი ქართველის მოსახლეობის 9,8 პროცენტი. მთელ მოსახლეობაში ქართველი მაჰმადიანების ასეთი მაღალი პროცენტი აჭარის გარდა არც ერთ ისტორიულ კუთხეში არ გვხვდება. გურიაში მცხოვრები 139 ათასი ქართველიდან 124 ათასი აღიარებს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას (89,3 პროცენტი). ამასთან, მართლმადიდებელი სარწმუნოების მატარებელია მთელი სომეხი მოსახლეობის (2134 კაცი) ნახევარზე მეტი – 52 პროცენტი.



**ლუბა სლაბადენიუკი,**
**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი**

# ქართულ ოცნების მცველებად ვდგავართ



## იუზა ჩაკვეტაძე

I

ქარი ქრის, ცვივა ხმელი ფოთლები,
ყვითელი ფერი დარდად იშლება,
ცას ერთვის მიწის ანაორთქლები
და ეფინება ლაჟვარდს ნისლებად.

დათალხულია დილის რიჟრაჟი,
გოლგოთას გზაზე ვის არ უვლია?!
ეჰ, ეს ცხოვრება არის მირაჟი
და მისი ბოლო სინანულია...

ცხარე ცრემლებმა, ცას რომ სდიოდა,
მზე დაბინდეს და ნათელს ვერ აფენს,
გზააბნეული კაცობრიობა
იუდას ვერცხლით წონის ყველაფერს.

მინდა, უღრანი გადავიარო,
ჯანღი ტყვრებში ბუდეს იკეთებს,
უნდა გაიგო, ადამიანო!
ერთგულებაში ჭპოვებ სიკეთეს.

იმ მაცდუნებელ გზას ნუ გაჰყვები,
სადაც უღირსი ბევრი დადაფნეს
და ამა სოფლის ცოდვის მაურები
აგუგუნებენ მწუხრის დაფდაფებს.

თუ რამე კარგი სახსოვარია,
სულს გზას გაუხსნის ცაზე საფრენად,
ადამიანი საცოდავია,
თუ ოცნებები არ აქვს აფრებად.

რწმენის გარეშე იმედი ქრება,
მომავლის ბილიკს წუხილი ათოვს,
არ მოითხოვო ღვთისაგან შველა,
თუ ეს სამყარო შენ გინდა მარტოს.

სულთა სავანის ზეცა ვრცელია,
ღმერთი შემწეა რწმენით მლოცველის,
ნუგეში მივცეთ მოყვასს ცრემლიანს,
მივცეთ უფლება ფიქრის, ოცნების.

II

ვეღარ დამალა თავის ნაკლი და
გადაენისლა ღამეს თვალები,
ის გამოვჩნდებით, ვინც ვართ,
სარკიდან,
სიმართლეს ვერსად დავემალებით.

ცრემლი გაუშრო სევდამ ხმელ წიფელს,
შავმა ღრუბელმა ზეცა დახრამა,
ერის წამებაართობს ხელმწიფეს,
გული დაზაფრა მისმა ხარხარმა.

მზე ბნელს დევნიდა, სადაც უვლია,
ცხოვრება დღის და ღამის ომია,
ბრიყვი ვერ ხვდება სადაურია!
თავი დავითზე ბრძენი ჰგონია.

მიისაკუთრა ტახტი წარმართმა,
ერი გააბა შუღლის მახეში,
მომავლის რწმენა ლამის წაგვართვა,
არ დაგვილია სევდა, სახვნეში.

მწარედ რომ კვნესის, სალამურია,
მდინარედ აქცევს ცრემლი კვლავ ღელეს,
მეფის ცხოვრება საამურია,
ჩვენი წუხილი მას არ აღელვებს.

გადააყვითლა სუსხმა მინდვრები,
შემოეპარა უშბას ჭაღარა,
ძმებო! მამული გვიხმობს, ვჭირდებით,
უღვთოდ მარცვავენ, დარდმა დაღარა.

მთის წვერზე რომ დგას, სორნაბუჯია,
იმედით უცქერს მას საინგილო,
ქვეყნის ერთობის მმობა ბურჯია,
მამულო, არ მსურს, კვლავ დაიგმინო...

არ უღალატა უფალს მლოცველმა,
რწმენა სულს რჩება, ჯალათს სხეული,
თუ ვერ აფრინდა ცაში ოცნება,
ხერხემალშია გადამსხვრეული.

III

არ დავრჩეთ დროში დაკარგულები,
ნუთუ შერცხვება ჩვენი თაობა?
მდინარეს ქმნიან ნაკადულები,
ქვეყანას — ერის ერთიანობა...

კრწანისის ველზე ქარი აკივლდა,
წინ მოუმღვება ღალატს სილაჩრე...
პატარა უნდა გავწვრთნათ აკვნიდან,
წრთობა ცხოვრების ავ-კარგს მიაჩვევს.

ბევრი აცდუნა მაღალმა ჩინმა,
გვერდზე გაუდგნენ მამულს, საუფლოს,
მე ერთგულებამ გადამარჩინა
და ოცნებებთან ხშირად ვსაუბრობ.

ზეცაზე მნელი ასასვლელია,
ყველას არ იღებს სულთა სამყარო,
გზას არ უმრუდებს მართალს ელია,
სიმართლე რწმენით უნდა ატარო.

კაცთა მომულე არ ვართ ბუნებით,
ნათელს აფენდა მუხრანს მნათობი...
მამულები გვაქვს დასაბრუნები,
მითვისებული მუხანათობით.

ვერ გავამრთელებთ მამულს სანუკვარს,
მზე არ ამოჰყავს მარტო გალობას,
ქვეყნის გამყიდველს ვინც თავს
დაუკრავს,
სირცხვილს უტოვებს შთამომავლობას.

წასვლის დრო როცა მოვა გოდებით,
აწმყო არ მინდა, წარსულს გვიშლიდეს,
შვილიშვილებს თუ მოვაგონდებით,
სული იპოვის ცაში სიმშვიდეს...

მითენებია ღამე ფიქრებში,
შუღლი მომავლის იმედს გვართმევდა...
ქართულ ოცნების ჩავდგეთ რიგებში,
არავის ვურჩევ ბრძოლას მართლებთან.

სიმხნევე მოაქვს ნიავს მთებიდან,
ღვთის მწამს, ვემთხვევი ნაკურთხ
ვაზის ჯვარს,
ერთად ვხედავდე ქართველ ერს მინდა,
არ გავიმეტებთ მამულს საჯიჯგნად.

ღამე ვერ ბედავს, დავა დამიწყოს,
გულს წრფელი გრძნობა დაიპყრობს
წმინდა,
ვერავინ შემლებს გადამავიწყოს,
სვეტიცხოველი და ნიკორწმინდა.

ვერ დაუხშობენ ცის კარს გაზაფხულს,
განთიადი არ მალავს მშვენებას,
ერს ერთიანს და მიზანდასახულს,
არ უწერია გადაშენება.

სალიბურია, გაუცვეთელი,
ნიავი ჭალებს ნავარდით უვლის,
კელაპტრებს უნთებს წარსულს ბეთლემი,
სულს ცეცხლი ათბობს მარადიული.

IV

ვინ თქვა, იმედი დაკარგულია?!
ამოლაჟვარდდა ცაზე ნათელი,
ეს რა კამკამა ნაკადულია, —
დავეწაფები ღამენათევი.

მომავალზე აქვთ ფიქრებს სამსჯელო,
უვიცი ბრძენთან ვეღარ იდავებს,
რატომ არა ვარ მიქელანჯელო,
გავაცოცხლებდი ფერში წმინდანებს!

მოყვასის დაცვა უფლის წესია,
ცაზე ვარსკვლავებს ვერავინ დათვლის,
მისი ანდერძი უწმინდესია,
გავყვეთ ნაკვალევს ილია მართლის...

გული მომავლის იმედით გათბა,
იები ქარგე მარად, მაისო!
სვეტიცხოველში იპოვა კვართმა
სასუფეველი სამარადისო.

ქართველებს რწმენის გზა არ აგვებნა,
მინდა, განცდილი ლექსში ავრეკლო,
ქვეყნის ბურჯად დგას მთაზე სამება,
ზართა გუგუნით გვიხმობს სამრეკლო.

აღტაცებული შევყურებ ტამარს,
ზეცაზე ეტლით დაქრის ელია,
ერს მომავლისკენ ერთობა დამრავს,
ნაკურთხი მიწა, ძმებო, ჩვენია.

თავი აჯწიოთ თამამად, ზემოთ,
გავაფერადოთ ფიქრთა სამყარო,
შურის და შუღლის მთესველი ვდევნოთ
და სიყვარული გულით ვატაროთ.

ვერ აგვიმღვრევენ ოცნების წყაროს,
ნანას უმღერის თბილისს მთაწმინდა,
ამერ-იმერის ერთობით ვხარობთ,
მზემ გაუღიმა, ზეცა გაბრწყინდა.

ქართულ ოცნების მცველებად ვდგავართ,
გმირები გვზრდიდნენ
დიდგორ-მარაბდის,
ჩვენო სამშობლო, იდიდე მარად,
ღმერთი გფარავდეს აწ და მარადის!

24 მაისი, 2012 წ.



## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ეპისტოლარული ივანიშვილი

**თბილისი მრავალათასიანი აქციისთვის ემზადება. მისი ორგანიზატორია ოპოზიციური ალიანსის „ქართული ოცნების“ ლიდერი, მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი. აქცია არაჩვეულებრივია იმით, რომ, მისი ორგანიზატორების სიტყვებით, არ არის საპროტესტო, მაგრამ აღნიშნავს საქართველოს პარლამენტში საარჩევნო კამპანიის დასაწყისს. დამატებითი აჟიოტაჟი გამოიწვია ივანიშვილის მკვეთრმა ღია წერილმა ქვეყნის პრეზიდენტის სახელზე, რომელშიც წამოაყენა პირობები, რომელთა შესრულების შემდეგაც მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში პირადად.**

მიხეილ სააკაშვილისადმი გაგზავნილ ღია წერილში დღეისათვის მისი მთავარი პოლიტიკური ოპონენტი მოუწოდებს მას, არ დაამტკიცოს პარლამენტის მიერ მიღებული შესწორებები კონსტიტუციაში, რომლებიც უფლებას იძლევა კენჭი იყარონ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში და დაიკავონ ხელმძღვანელი პოსტები ქართული წარმომავლობის პირებმა, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები არიან, მაგრამ ცხოვრობენ სამშობლოში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში. ბიძინა ივანიშვილი ამ ცვლილებებს, რომლებიც დამტკიცებულია „პრეზიდენტის მორჩილი უმრავლესობის მიერ“, ქვეყნის სახელმწიფო საფუძვლების დამანგრეველს უწოდებს. ამის საფასურად, წერს მილიარდერი, მას არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა პარლამენტის არჩევნებში ან ჰქონდეს პრეტენზიები სახელმწიფო თანამდებობებზე.

ივანიშვილი თავის წერილში პრეზიდენტისგან ითხოვს გამოიჩინოს პოლიტიკური ვაჟკაცობა და აღუდგინოს საქართველოს მოქალაქეობა, რომელიც მას „უკანონოდ ჩამოერთვა“, და ამით მისცეს შესაძლებლობა კენჭი იყაროს პარლამენტში კანონიერ საფუძველზე და არა „ხელოვნური საკანონმდებლო შესწორებებით, რომლებიც უპრეცედენტოა საერთოდ და არსებითად უნიჭო“.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა ღია წერილზე არანაირი რეაგირება არ მოახდინა. მის მაგივრად ეს გააკეთეს მისი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა, რომლებმაც ივანიშვილის მოქმედებებს სხვადასხვაგვარი კომენტარი გაუკეთეს ბოროტ გაფრთხილებამდეც კი: „ის გაიზიარებს ასლან აბაშიძის ხვედრს“. სხვა რამეს, საერთოდ, არც უნდა დაველოდებოდით, თუ ყურად ვიღებდით ეპითეტებს, რომლებითაც ისინი შეამკო თავის წერილში ყველაზე მდიდარმა ქართველმა.

ყველაზე მშვიდი შეფასება გააკეთა პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ – პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა. „ბიძინა ივანიშვილმა ღია წერილით კონკრეტულად მიხეილ სააკაშვილს სირთულეები შეუქმნა. თუ აქამდე სიტუაციას მილიარდერთან დაკავშირებით აკონტროლებდა და პირობებსაც კარნახობდა პრეზიდენტი, ახლა ივანიშვილმა ჩაიგდო ხელში ინიციატივა და დაიწყო თავისი აზრების კარნახი. მას სურს, აიძულოს პრეზიდენტი, უარი თქვას საკონსტიტუციო ცვლილებებზე. მან შეძლო სიტუაციის შეცვლა, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივ სტატუსთან დაკავშირებით“, – მიაჩნია საყვარელიძეს. მისი აზრით, თუ ივანიშვილი ვერ მიაღწევს მოქალაქეობის აღდგენას და, საკუთარი გეგმის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, მაშინ მდგომარეობა ელექტორალურ ველზე არ შეიცვლება: საზოგადოების აღქმით, „ქართული ოცნება“ – ეს არის ძალა, რომელსაც აკონტროლებს მხოლოდ მილიარდერი.

შევახსენებთ წინა ისტორიას. ბიძინა ივანიშვილს ჩამოართვეს საქართველოს მოქალაქეობა, როდესაც მან თავისი პოლიტიკური ამბიციების შესახებ განაცხადა. ხელისუფლებას უმალვე გაახსენდა, რომ მას „ლმობიერი“ პრეზიდენტისგან მიღებულ ქართულ პასპორტთან ერთად ჰქონდა რუსეთისა და საფრანგეთის პასპორტები. იურისტების მტკიცებით, რომლებიც ივანიშვილის ინტერესებს იცავენ, მისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის უფლება იმის საფუძველზე, რომ იგი არის სხვა ქვეყნების მოქალაქე, ხელისუფლებას არ ჰქონდა, ვინაიდან იგივე ეს მოქალაქეობა ივანიშვილს ჰქონდა მინიჭებული პრეზიდენტის გადაწყვეტილებით. ესე იგი, მას რომ მიეღო საფრანგეთის ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობა ამის შემდეგ, მაშინ ქართული პასპორტის გაუქმება იქნებოდა კანონიერი, ვინაიდან კანონმდებლობაში ზუსტად არის ჩაწერილი ორმაგი მოქალაქეობის დაუშვებლობა.

თავის მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თავისი მოქმედებები არ მიაჩნია კანონის დარღვევად. სამინისტრო ასევე კანონიერად მიიჩნევს უარს შუამდგომლობაზე, აღუდგეს ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა ნატურალიზაციის გზით, რითაც მილიარდერმა მიმართა ამ უწყებას. უარის პროცესში მას შესთავაზეს მიმართოს შესაბამისი თხოვნით პრეზიდენტს. ივანიშვილმა ამის გაკეთება არ ისურვა, გადაწყვიტა მიელწია თავისი მიზნისთვის სასამართლო ინსტანციებით.

მაგრამ, როდესაც ივანიშვილს ჩამოართვეს მოქალაქეობა და შემდგომ უარი უთხრეს მის აღდგენაზე, ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, გადაჭარბებით შეაფასა თავისი შესაძლებლობები ანდა საერთოდ ვერ შეაფასა ისინი. ყველა მსოფლიო ცენტრიდან და ინსტიტუტიდან, რომლებსაც არ შეიძლება, რომ ხელისუფლებამ ანგარიში არ გაუწიოს, შემოვიდა დაბეჯითებული რეკომენდაცია: მიენიჭოს ყველას თანაბარი შესაძლებლობანი და უფლებები საშემოდგომო პარლამენტის არჩევნებზე. ცხადია, რომ „ყველაში“ იგულისხმება, უწინარეს ყოვლისა, ბიძინა ივანიშვილი. და მაშინ იმისთვის, რომ შეენარჩუნებინათ სახე, მოხდა კონსტიტუციაში ცვლილებების ინიცირება და დამტკიცება, რაც შესაძლებლობას აძლევს მთავარ ოპოზიციონერს თავად ჩაება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, კერძოდ, არაერთგზის ღიად აღიარებდნენ, რომ ცვლილებები ძირითად კანონში დამუშავებულია მხოლოდ ივანიშვილისთვის. ახლა მან ეს ცვლილებები ფაქტობრივად უარყო, აირჩია ხელისუფლებასთან დაძაბულობის ესკალაციის გზა. ამის სასარგებლოდ მეტყველებს საარჩევნო კამპანიის სტარტის არჩეული ფორმაც.

კვირას თბილისი შეიძლება პარალიზებული აღმოჩნდეს. მსვლელობა ცენტრალური თავისუფლების მოედნისკენ „ქართულ ოცნებას“ განზრახული აქვს მოაწყოს ერთბაშად დედაქალაქის სამი კვარტალიდან. „დღემდე უნახავი ადამიანთა რაოდენობა“, რის შესახებაც საუბრობენ აქციის ორგანიზატორები, უბრალოდ ვერ დაეტევა თბილისის ვიწრო ტროტუარებზე და აქციის მონაწილეები იძულებული გახდებიან დაიკავონ ტრანსპორტის სავალი ნაწილიც. იმას, თუ რამდენ მომხრეს გამოიყვანს ქუჩებში „ქართული ოცნება“, თავად კოალიციის წევრები ვერ ასახელებენ. როგორც ივანიშვილის პრესმდივანმა მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, ყოველდღიურად „ქართული ოცნების“ ყოველი აქტივისტი ახერხებს დაურეკოს დაახლოებით ხუთას მომხრეს და მოიწვიოს ისინი მსვლელობაში მონაწილეობისთვის და უარყოფა არც ყოფილა“.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

---

## დედამიწის ზურგზე



„ექვსიანის“ ბაღდადის მოლაპარაკება: ირანი ვერ დაიყოლიეს, სამაგიეროდ ნავთობი ძვირდება

თეირანთან მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობენ გერმანია და გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი – რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი. ირანის მხარე მიუთითებს იმაზე, რომ „ექვსიანის“ წინადადება მოძველებულია და დაუბალანსებელი. თეირანი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ აქვს ურანის გამდიდრების სრული უფლება.

* * *

ბრიტანელმა კასკადიორმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ის 730 მეტრის სიმაღლიდან უპარაშუტოდ გადმოხტა



როდესაც განავითარა სიჩქარე 96,5 კილომეტრი საათში, 42 წლის ჰარი კორენი სპეციალური ვინგსიუტით ერთ წუთზე ნაკლები დროის განმავლობაში დაეშვა დედამიწაზე „დასაშვებ ველზე“ მუყაოს ყუთებზე, ამავე დროს მან მოასწრო სამი წამის განმავლობაში ყოფილიყო თავისუფალ ვარდნაში. „ეს ჩემი ხელოვნებაა!“, – დარწმუნებულია ბრიტანელი.

* * *

ოთხი ექსტრემალი მოგზაური რუსეთიდან ირანში სამხედრო ციხეში აღმოჩნდა




რუსი ბოევიკების ჯგუფი დააკავეს ბაღდადში 20 მაისს, მათ ბრალი ედებათ სავიზო რეჟიმის დარღვევაში. რუსი დიპლომატების ჩარევის შემდეგ რუსეთელები კამერიდან უბრალო ოთახში გადაიყვანეს, მოუხსნეს ხელბორკილები, დაიწყეს მათი კვებაც. ისინი წერენ ნათესავებს დამაშინებელ ესემესებს იმის შესახებ, რომ მათ სცემენ და სიკვდილით ემუქრებიან.

* * *

აშშ-ში გემთსაშენში ცეცხლი გაუჩნდა ატომურ წყალქვეშა ნავს, დაშავდნენ მეხანძრეები

წყალქვეშა ნავი რემონტზე იმყოფებოდა მშრალ დოკში, ამიტომ მისი რეაქტორი ცეცხლის გაჩენის დროს არ მუშაობდა, ხომალდის ბორტზე იარაღი არ ყოფილა. ოთხი მეხანძრე ჰოსპიტალიზებულია, მათ მიიღეს დამწვრობა და მოიწამლნენ გაზით. სამხედრო საზღვაო ძალების წარმომადგენლის სიტყვებით, მოსახლეობას მახლობელ რაიონებში საფრთხე არ ემუქრება.




---

# „რუსეთი სააკაშვილის დასამხობად მატჩ-რევანშისთვის ემზადება“

**ამერიკული გამოცემა „Front Page Magazine“-ის აზრით, რუსეთი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დასამხობად მატჩ-რევანშისთვის ემზადება.**

**ამის შესახებ ანალიტიკოსი რაიან მაურო სტატიაში „ისწრაფვის თუ არა რუსეთი საქართველოსთან ომისკენ“? წერს.**

„არავინ ელოდა, რომ რუსეთი აშშ-ში საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი თემა იქნებოდა მაშინ, როცა 2008 წელს მან საქართველოსთან ომი დაიწყო და მისგან აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის გამოყოფა უზრუნველყო. ახლა ჩნდება ნიშნები იმისა, რომ რუსეთს მატჩ-რევანშის სურვილი გაუჩნდა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის პროამერიკულ რეჟიმს დაამთავრებდა. ცოტა ხნის წინათ რუსეთმა საქართველო დაადანაშაულა იმაში, რომ 5-6 მაისს აფხაზეთში 10 იარაღის სამალავი აღმოაჩინეს, რომელიც სოჭში ტერაქტის მოსაწყობად იყო განკუთვნილი. რუსეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ დაგეგმილი ტერაქტების სერიაზე პასუხისმგებელი დოკუ უმაროვია, რომელსაც ქართული სპეცსამსახურები თურქეთიდან საქართველოს ტერიტორიის გავლით იარაღის გადატანაში დაეხმარნენ. საქართველო უარყოფს ბრალდებას, რომელიც სააკაშვილის დამხობის საბაბს ქმნის. ამასთან ერთად, რუსეთი დასავლეთის მიერ ირანზე შესაძლო დარტყმისთვის ემზადება. ვიცე-პრემიერმა დიმიტრი როგოზინმა განაცხადა: „ირანი ჩვენი მეზობელია და მასზე თავდასხმა ჩვენს უსაფრთხოებას საფრთხეს შეუქმნის“. ცნობილია, რომ რუსეთმა სომხეთში ჯარების გაგზავნის გეგმა შეიმუშავა იმ შემთხვევისთვის, თუ მოვლენები ზემოაღნიშნული სცენარით განვითარდება, ეს კი საქართველოს ტერიტორიის გამოყენებასა და პარალელურად, სააკაშვილის ხელისუფლების დამხობას არ გამორიცხავს. 2008 წელს კავკასიაში სამხედრო წვრთნები გამოყენებული იქნა იმისთვის, რათა იმ სამხედროების განლაგება და მომზადება შეენიღბათ, რომლებიც შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე შეიჭრნენ. წელს წვრთნები სექტემბერში უნდა გაიმართოს. რუსეთმა განაცხადა, რომ სპეცრაზმელთა ჯგუფები ჩრდილოეთ კავკასიაში წვრთნებისთვის უკვე გაგზავნილია. სადესანტო ჯარები და სამხედრო ვერტმფრენები სომხეთში გიუმრის 102-ე ბაზაზე განლაგდებიან. სავსებით შესაძლებელია, რომ კონფლიქტის შემთხვევაში რუსეთი ირანს დახმარებას სომხეთის ტერიტორიიდან აღმოუჩენს. საქართველოში შესაძლო შეჭრა რუსეთს და ირანსაც სტრატეგიულ და ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს. ვინაიდან ევროპა ახლა დაახლოებით დღეში 1 მილიონ ბარელ ნავთობს ყაზახეთიდან და აზერბაიჯანიდან იღებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით, რომელიც რუსეთისა და ირანის ტერიტორიას გვერდს უვლის. 2008 წლის ომის დროს რუსულმა გამანადგურებლებმა დარტყმა სწორედ ამ ნავთობსადენზე განახორციელეს. საქართველოში შეჭრით რუსეთი ამ ძალიან მნიშვნელოვან ობიექტზე კონტროლს დაამყარებს“, – წერს „Front Page Magazine“.

მისივე ცნობით, რუსეთი სააკაშვილის მთავრობის დამხობას 2008 წლის ომის პერიოდიდან მოყოლებული ცდილობს და შემდგომი ნაბიჯების გასამართლებლად, მუდმივად საქართველოს მიერ ტერორისტების დახმარებაზე საუბრობს.


FRONTPAGEMAG

Home About Contact Us Bookstore Donate Columnists Subscribe Pamphlets

Is Russia Itching for War with Georgia?

Posted by Ryan Mauro Bio | on May 22nd, 2012 Comments |

No one expected Russia to become a major campaign issue in 2008 when it went to war with Georgia, ripping away the regions of South Ossetia and Abkhazia. Now, there are signs that Russia is itching for a rematch that would finish off the pro-American Georgian regime led by Mikheil Saakashvili.

Russia recently announced that it seized 10 caches of arms on May 4 and 5 in Abkhazia which were to be used in dramatic terrorist attacks in Sochi, where the 2014 Winter Olympics are to take place. The stockpiles included: 10,000 rounds of ammunition; 15 kilograms of TNT; 50 grenade fuses; 39 hand grenades; 36 mortar shells; 29 grenade launchers; 15 landmines; 12 improvised explosive devices; 3 surface-to-air missiles; 2 anti-tank missiles; 2 assault rifles and a sniper rifle, mortar and flamethrower.

The Russian government says that the man responsible for the planned wave of attacks is Doku Umarov, a Chechen terrorist leader involved with Al-Qaeda. He ordered an end to attacks on Russian civilians earlier this year. Georgian intelligence helped Umarov's terrorists smuggle the weapons through Georgian territory from Turkey, the Russians claim. Georgia dismisses the accusations as "absolutely absurd." The accusation provides a clear rationale to remove Saakashvili from power.

This development comes while Russia is preparing for a possible strike on Iran. Deputy Prime Minister Dmitry Rogozin explained, "Iran is our neighbor. If Iran is involved in any military action, it's a direct threat to our security." Reportedly, Russia has drawn up plans to send forces to Armenia in such an event, which requires going through Georgia, toppling Saakashvili on the way.

In 2008, Russia's annual Kavkaz exercises were used as a cover to deploy and train the forces that invaded Georgia the next month. This year's exercises are to take place in September. Russia announced that Spetsnaz units will be sent to the North Caucasus region for the exercises and airborne assault forces and attack helicopters will deploy to Base 102 in Gyumri,

„2009 წელს რუსეთმა თბილისი იმ სერიოზული შედეგების შესახებ გააფრთხილა, რომელიც საქართველოს მიერ ნატოსთვის საკუთარ ტერიტორიაზე წვრთნების ნების დართვას შეიძლება, მოჰყოლოდა. აპრილში რუსეთის შეიარაღებული ძალები თბილისს 40 კილომეტრის მანძილზე მიუახლოვნენ. მომდევნო თვეს დედაქალაქის ახლოს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობას ჰქონდა ადგილი (მუხროვანის ამბოხი). ერთ-ერთმა დაკავებულმა, ყოფილმა მაიორმა განაცხადა, რომ ამბოხის მზადება რუსეთიდან მიმდინარეობდა. 2009 წელს რუსეთმა საქართველო დაადანაშაულა „ალ ქაიდას“ ტერორისტ-თვითმკვლელის მომზადებაში, რომელმაც ინგუშეთში აფეთქება მოაწყო. რუსეთმა ნელ-ნელა დაიწყო საქართველოს ეჭვმიტანილად დასახელება 2010 წლის 29 მარტს მოსკოვის მეტროში აფეთქებების გამოც. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ „სააკაშვილი არაპროგნოზირებადია და ნებისმიერ მომენტში შეუძლია, დარტყმა განახორციელოს“. ეს თვალთმაქცობაა, ვინაიდან სწორედ რუსეთია ფარული თავდასხმების სპონსორი. ამერიკული სპეცსამსახურების 2007 წლის მოხსენების თანახმად, რუსეთის სახელმწიფო დაზვერვის განყოფილება (ГРУ) დგას საქართველოში განხორციელებული „სასტიკი მოქმედებების“ უკან, რომელიც 2004 წლიდან დაიწყო. მათ შორის არის ქართველი პოლიციელების მკვლელობა, 2005 წელს ავტომობილის აფეთქება, 2006 წელს ორი თავდასხმა რუსეთ-საქართველოს შორის გამავალ მილსადენზე, მნიშვნელოვანი ელექტროგადამცემი ხაზის საბოტაჟი და ბოევიკების შეიარაღება. რუსეთი ასევე პასუხისმგებელია აფეთქებაზე თბილისში ამერიკის საელჩოსთან, რომელიც 2010 წლის 22 სექტემბერს მოხდა. 2011 წლის თებერვალში სააკაშვილმა აშშ-ს საქართველოში რადიოლოკაციური თავდაცვის სისტემის განთავსება სთხოვა, რითაც რუსეთი ძალიან გააბრაზა. რუსეთი არ მალავს თავის სურვილს, სააკაშვილისგან ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლდეს“, – წერს „Front Page Magazine“ და დასძენს, რომ „ვლადიმერ პუტინმა საბჭოთა კავშირის დაშლას „მე-20 საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“ უწოდა – სწორედ ასეთ მენტალიტეტთან გვაქვს საქმე“.

ნინო ჩიჩუა

დრო თავისას იტყვის

# გვეამაყები!..

## მამანტი ძაძამია – 70



**ბატონო მამანტი, თქვენ, სიცოცხლეშივე აღიარებულმა მამულიშვილმა, რომელმაც თვალცხადლივ წარმოაჩენთ საქართველოსა და ქართველი ერის თვითმყოფადობა... ჩვენ, ფაზისელ ცოტნეიდელებს — „აღმსარებელთ მცნებისა უფლისა და დამდებელთ სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასთათვის“ — გვეამაყება, რომ ფაზისის მეცნიერებათა საერო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ 2007 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია გაუწია თქვენი ფუნდამენტური ნაშრომის — „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვაწარმომავლობა“ — შვიდტომეულის გამოცემას.**

სადღეისოდ დადასტურებულია, რომ უძველესი მეგრული ერთ-ერთი ქართველური ენაა და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის წინამორბედ ენად გვევლინება, როგორც პროტოქართულ-კოლხური ენა. თქვენს დასკვნებს ეხმიანება და იდენტურად ადასტურებს ფესტოსის დისკოც ძველკოლხური, ძველიბერიული, ე. ი. ქართული, სულ მცირე 4000-წლოვანი „ოქროდამწერლობით“.

ამდენად, ღვთის წყალობით, ნათელი გახდა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა არა ერთი და ორი ათეული საუკუნის წინათ გვქონდა თავისი სახელმწიფოებრივი ენითა და დამწერლობით... რომ ძველკოლხურ-მეგრული ენა კილოკავი თუ დიალექტი არასდროს ყოფილა. ამდენად ჭეშმარიტი ქართველისთვის შეურაცხმყოფელი ბრალდება „მეგრული რევანშისტული სეპარატიზმისა“ ყოვლად უსაფუძვლოა და გონიერი მტრის თუ უგუნური მოკეთის მიზეზით საერთო ტკივილია, ერთიანი ქართული სხეულის ხერხემალშივე გადატეხის მიზნით ჩაფიქრებული...

ფაზისის (კოლხეთისძ სამეცნიერო საერო აკადემიაში ცოდნის მაძიებელნი ევროპიდან და აზიიდან მოემართებოდნენ. სახელგანთქმული ბერძენი ფილოსოფოსები და ორატორები ევგენიოსი და თემისტიოსი, ფაზისში შორეული კესარიიდან ჩამოსულები, აქ ცოდნის ნაყოფის დაუფლებით ამაყობდნენ კიდეც და ურჩევდნენ თავიანთ შეგირდებს, სწავლა-განათლება სწორედ შორეულ კოლხეთში — ფაზისში მიეღოთ...

ძველ კოლხურ (მეგრულძ ენაზე მეტყველებდნენ მედეა და აიეტი, ქუჯი ეგრისელი, მეფე გუბაზი, მსოფლიოში სახელგანთქმული ორატორები აიეტი, ფარტაზი, წათე, რომელთაც ფაზისის აკადემია ჰქონდათ დამთავრებული.

გულწრფელად და გულმხურვალედ გმადლობთ, ბატონო მამანტი, თქვენი გამოკვლევებისთვის.

დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს გისურვებთ თქვენს მშობლიურ წალენჯიხასთან ერთად — კაცო მენცარო, ჩქინ ტომბა კოჩ!

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ალმაშენებლის საგალობლების მადლითა და მისი კურთხევით შექმნილი საქართველოს იმედის ხატის ძალით იბედნიერეთ, გამრავლდით! ახალ წარმატებებს და შემდგომ გამარჯვებებს გისურვებთ სამშობლოს საკეთილდღეოდ! მაღალმა ღმერთმა გვისმინოს!

გფარავდეთ უფალი, ძე ღვთისა იესო ქრისტე, სულიწმინდის მადლით გაზრწყინდეს ქართველი კაცის ნიჭიერება, რათა ისტორიული სამართლიანობით გაიხაროს „ყოველმა ქართველმა“, სიკეთემ — ცოტნეიდელ-ჭყონდიდელობამ“ გაიმარჯვოს ბოროტებაზე — „შადიმანფარსადანობაზე“!

**მთები, მთები, მთები... და ცხოვრების მწვერვალებზე**
**ამაღლების მოსურნეთა მხედრობა,**
**თუ ხარ მონა, ამა ქვეყნად არავინ არ გენდობა,**
**მორჩილების მონურ ღიმილს, ნაცვლად**
**თავისუფლებისა, ვერვინ ვერ შეგბედავთ, ვერ**
**დაგაბრალებთ,**
**მათ იციან, რომ თქვენ ქართველთა**
**უპირველეს ენას იკვლევთ,**
**და კოლხეთის ისტორიის ნაპრალებში**
**აღმოჩენილ წინაპართა ნაფეხურებს**
**უკვდავყოფით შეჰყურებთ...**

უღრმესი პატივისცემითა და სამადლობელით და ფაზისის მეცნიერებათა საერო აკადემიის სახელით

**ნუგზარ ნადარაია,**

აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი, ფოთის, მარტვილის, ხობის, იყალთოს, გელათის საპატიო მოქალაქე

დამაშვრალნი

# ჭიათურელი თბილისელები

## ანუ ადამიანები, რომლებიც მშობლიურ ქალაქსაც წაადგნენ და სამშობლოსაც

**ცნობილია, რომ ჩვენი დედაქალაქი რაიონებიდან ახალგაზრდობას ზედმეტად იზიდავს. ეს მიზიდვა ვერავითარ ნორმებში ვერ თავსდება და ქვეყნისთვის, მეტწილად, ზიანი მოაქვს. ამ პროცესის მთავარ უარყოფით მხარედ ითვლება ის, რომ სასწავლებლად, სამუშაოდ თუ სხვა მიზნით დედაქალაქში ჩამოსული ახალგაზრდებიდან მშობლიურ სახლ-კარს მხოლოდ 25-30 პროცენტი თუ უბრუნდება. დედაქალაქი ინტენსიურად იზრდება, რაიონები კი მოსახლეობისგან იცლება. რა გაეწყობა. ამ საკითხის მოწესრიგება საკმაოდ რთულ ქვესაკითხებთან არის დაკავშირებული, რომელთაგან უმთავრესია ახალგაზრდების დასაქმება ადგილზე, რაიონის ცხოვრებაში კულტურულ-სოციალური დონის ამაღლება და სხვ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ პრობლემის მოწესრიგება შორი პერსპექტივისთვის არ გადაიდება და ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად წარმოგვიდგება.**

ეს შესავლისთვის. ახლა კი მინდა გესაუბროთ გათბილისებულ ჭიათურლებზე. საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონს ჰყავს ასეთ ადამიანთა ჯგუფი. ყველაზე მეტი, ალბათ, ქუთაისსა და ბათუმს. მე, თავად ჭიათურელი, ამ ქალაქელებს ვიცნობ და მათზე მინდა გიამბოთ.

ჭიათურლები, გნებავთ ცოდნით, ყოფა-ქცევით, ინტელექტით, ოჯახისშვილობით ღირსეული თბილისელები გახდნენ. მათთვის ნაღდ თბილისელებთან ტოლ-სწორი და გულწრფელი ურთიერთობის დამყარებისთვის ხელი არაფერს არ შეუშლია. ჭიათურლები ჩვენი ქვეყნის წინსვლას ემსახურებოდნენ და დღესაც ემსახურებიან მეცნიერებაში, მედიცინაში, კულტურასა და ხელოვნებაში, არქიტექტურასა და მშენებლობაში, სხვა ნებისმიერ დარგში. ამ წერილის მკითხველი შეამჩნევს, რომ ქვემოდ დასახელებულ ჭიათურლებს შორის რამდენიმე კატეგორია იკვეთება. ზოგი, თავისი მოღვაწეობით, მსოფლიო მასშტაბის პიროვნება იყო, იყვნენ და არიან საქვეყნოდ ცნობილი პირებიც. ამ ორი კატეგორიის შევსებას კი წარმოადგენენ უბრალო ადამიანები, რომლებიც თავიანთ შრომით უბნებში უმწიკვლოდ ემსახურებოდნენ და ემსახურებიან ქვეყანას. მაგრამ, მთავარი აქ ის არის, რომ ყველა მათგანს, მიუხედავად ცენზისა და წოდებისა, აერთიანებს იმ გრძნობებისა და თვისებების სიჭარბე, რომლებიც დამახასიათებელია მაღალი მორალისა და სპეტაკი მოქალაქეობრივი ღირსების მქონე ადამიანისთვის. ხსენებულ მორალსა და ღირსებაში საპატიო ადგილი ჩვენი პატარა ქალაქის სიყვარულსა და პატივისცემასაც უჭირავს.



გაეცნობა რა ჭიათურელ თბილისელთა ჩამონათვალს, იტყვის, შენ, ჩემო ძმაო, ყველა ჩამოგითვლია, ვინც საცხოვრებლად ჭიათურას თბილისი ამჯობინაო. არა, ეს მთლად ასე არ არის. მთავარი აქ ის გახლავთ, რომ ყველა ეს პიროვნება, ძველები თუ ახლები, ის მოქალაქეები არიან, რომელთა ცხოვრებაში, სანთლით რომ ეძებოთ, ხინჯს ვერ იპოვით. დახვეწილი ყოფა-ქცევით, დამშვენებული შინაგანი კულტურით, ადამიანებთან ურთიერთობის განსაცვიფრებელი უნარით, ოჯახისა და ქვეყნის გულწრფელი სიყვარულით, თავისი საქმის საფუძვლიანი ცოდნით, ქართული სტუმართმოყვარეობით და ადამიანის ყოფა-ცხოვრების შემამკობელი კიდევ სხვა მრავალი თვისებით. ამიტომ, ნება მივეცი ჩემს თავს, თამამად გავიხსენო ისინი, ამ ქვეყნიდან წასულებს წმინდა სასუფევლის დამკვიდრება, ხოლო ცოცხლებს ბედნიერ საქართველოში ხანგრძლივი ცხოვრება ვუსურვოთ. მაპატიონ იმ პირებმა, რომელთა გახსენებას ჩემი ნაცნობობის სფერო არ გასწვდა. ეს მათს ღირსებას ოდნავადაც არ მიაყენებს ჩრდილს. რაც შემეხება პირადად მე, მეც ქვეყნის სასარგებლოდ მოღვაწე ერთი რიგითი პიროვნება ვარ, მაგრამ დღეს ჩემი სიამაყის საგანია ჩემი სამი შვილი, რვა შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი, რომლებსაც თავიანთი კეთილშობილური საქმიანობით ღირსეული ადგილი უჭირავთ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გამოირჩევიან მეგობარ-ახლობლების, ქვეყნისა და, რა თქმა უნდა, ჭიათურის უსაზღვრო სიყვარულით.

ღირსეულ ჭიათურელ თბილისელთა შორის არიან ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ **ალექსანდრე, გიორგი, ვასილ, თინათინ, კონსტანტინე, მიხაკო, ნიკუშა, ალექსანდრა, თამარ წერეთლები, გრიგოლ და კიტა აბაშიძეები, მარიკა ბარათაშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე, ბუკა ნაკაიძე, პეტრე გელბახიანი, ირაკლი და ეთერ ფაღავები, იოსებ ყიფშიძე, ვახტანგ შანიძე, ვახტანგ ჯაოშვილი, მიხეილ, ბუჭულა, ალიოშა, მურმან და გივი გიორგაძეები, შოთა, ირაკლი, ოთარ და დიმიკა გამყრელიძეები, დავით გამეზარდაშვილი, ანდრია, გრიგოლ, შალვა და გოგი ბიწაძეები, ბესო ჟღენტი, ეთერ სამხარაძე, ქეთევან უზნაძე, იპოლიტე ვართაგავა, ყველასთვის დაუვიწყარი ზურაბ პატარიძე. შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ გრიშა ტყაბლაძე, მიხეილ და ბიჭიკო აბაშიძეები ჭიათურლები იყვნენ. დავიწყება არ უწერია ჩვენს ანზორ კავსაძეს, ასევე დაუვიწყარნი არიან ოთარ, გუგულა, თემურ, ვაჟა, ზურაბ, ძმები გოგი, დავით, კოწია აბდუშელაშვილები, რიჩარდ სხირტლაძე.**

თავიანთი მაღალი პროფესიონალიზმითა და კარგი ადამიანობით გამოირჩეოდნენ **ვარლამ (ბახვა) ბრეგვაძე, შალვა შეყლაშვილი, ოთარ ჯაფარიძე, შოთა ხეცურიანი, ვანო ნებიერიძე, გივი და ზაურ კაპანაძეები, ოთარ ჩინჩალაძე, კოტიკო ჩხეიძე, ტიტე, ჯურხა და ასანა ნადირაძეები, იური კირკიტაძე, რევაზ მეცხოვრიშვილი, ვლადიმერ ლოლობერიძე, ძმები ანდრო, დავით და ლადო შუკაკიძეები, ვაჟა შუკაკიძე, ბიჭიკო და ტარიელ აბაშიძეები, ზაურ ბრეგვაძე, არჩილ და მიზანა ფანცულაიები, ჯემალ მიქიაშვილი, ელეონორა და ვაჟა გველესიანები, თენგიზ მაჭარაშვილი, მურთაზ ჩაჩანიძე, დოდო და რევაზ მაჭავარიანები, ძმები რუსეცკები, ათიკო წერეთელი, სოსო ბიწაძე, კლარა და ნათელა ბაქრაძეები, იური და ლილი ტარსაიძეები, ნოდარ ფუტკარაძე, გელა სადუნიშვილი, უშანგი გაფრინდაშვილი, ლიანა ჭრელაშვილი, გივი ფხალაძე.** რა დაავიწყებს ჭიათურელ თბილისელებს **ქვარიანების ოჯახს — ლევანს, თამარსა და თამაზს, ან კიდევ ჩვენს შუტუ და თენგიზ ფოფხაძეებს.**

სიამაყითა და სიხარულით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ასობით ყოფილი ჭიათურელი, დღეს კი თბილისელი, კეთილშობილურად იხდის თავის მოქალაქეობრივ ვალს ქვეყნის წინაშე, ამავე დროს, თან ატარებს და შთამომავლობასაც გადასცემს ჭიათურის პატივისცემასა და სიყვარულს. ქვეყანას დიდად რგებს **ირაკლი ანდრიაძის, დავით იაკობიძის, რუბენ ასანიძის, იუზა გიორგაძის, ელიკო აბაშიძის, ვახტანგ და ჯემალ ცუხიშვილების, ბიძინა სუმბაძის, თამაზ სარალიძის, გაიოზ ნოზაძის, ნუგზარ და გოგი წერეთლების, რევაზ ახვლედიანის, ჯაბა და გუტა ვაშაძეების, ზურაბ კახნიაშვილის,რევაზ ჟორჟოლიანის, ჯიბო ჭუმბურიძის, ანზორ ასათიანის, ნოდარ ქურციკიძის, ჯუმბერ რაზმაძის, ვაჟა მოდებაძის, გურამ და თეზიკო ჩაჩანიძეების, ვახტანგ მახათაძის, თამაზ ვაშაძის, ვაჟა გელბახიანის, ვიქტორ ჯაფარიძის, კოტე და ვახტანგ ფხალაძეების, ზაალ ბარათაშვილის, რუბენ არუთინოვის, გიზო გუნიავას, გალინა კრიცკაიას, ინესა ფანცულაიას, გიზო ტყემალაძის, სოსო ნოსელიძის, ვახტანგ ჩხეიძის, ვახტანგ და თათია დეკანოზიშვილების, ნაზიკო და ლაურა ჯორბენაძეების** სასარგებლო საქმიანობა.

სასიხარულოა ისიც, რომ ჭიათურის აწმყო და, თუ გნებავთ, მომავალიც დღეს ზრუნვის საგანია არა მარტო ჭიათურელებისთვის, არამედ ნებისმიერი ქართველისა და არაქართველისთვის, ვინც იცის მისი როლი და მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვის და, რა თქმა უნდა, ვინც იცნობს ჭიათურის შრომისმოყვარე და სტუმართმოყვარე ხალხს.

**რევაზ ტყემალაძე,**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი

ცურვა

# ბოლქვაძემ ლონდონი დაიჯავშნა



**ჩვიდმეტი წლის მოცურავემ ირაკლი ბოლქვაძემ წლეულს რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში იყოჩაღა. ჯერ უკრაინის ღია ჩემპიონატში მოიპოვა ვერცხლის მედალი, შემდეგ ბელარუსის ღია პირველობასა და უკრაინის თასის გათამაშებაში მიაღწია მსგავს წარმატებებს, თანაც ისე, რომ ტურნირიდან ტურნირამდე შედეგებს აუმჯობესებდა.** და აი, ახალი გამარჯვება: უნგრულ დებრეცენში მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატზე 200 მეტრი ბრასით 2.16,35-ში გაცურა და სალიცენზიო ნორმატივი შეასრულა, რითაც ბრიტანეთის დედაქალაქში 2012 წლის თამაშებზე გასამგზავრებელი ბილეთი დაიჯავშნა. დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ბოლქვაძე პირველი მოცურავეა, რომელმაც ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება ნორმატივის შესრულებით მოახერხა. 27 მაისს ირაკლი 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაშიც მოსინჯავს ძალებს და არ არის გამორიცხული, ლონდონის საგზურს აქაც გამოჰკრას ხელი, რადგან ამ დისციპლინაშიც კარგი შედეგები აქვს.

წლეულს 4-8 ივლისს ირაკლი ბოლქვაძე დავით სიხარულიძესთან ერთად ანტვერპენში (ბელგია) ახალგაზრდების ევროპის პირველობაზეც იასპარეზებს.

ლექსო ცინცაძე

კალათბურთი



# ასეც ვიცოდით

**მოსახდენი მოხდა — ქვეყნის ჭეშმარიტად უძლიერესმა კლუბმა „არმიამ“ შეინარჩუნა სუპერლიგის ჩემპიონობა და ზედიზედ მეორედ დამსახურებულად ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.**

კოტე ტუღუშის შეგირდთა უპირატესობაში ეჭვი არც მას შემდეგ შეჰპარვია ვინმეს, როცა ფინალური სერიის მეორე მატჩი „ოლიმპმა“ მოიგო და საერთო ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

მას შემდეგ, როგორც უკვე გაუწყეთ, ძალოვანებმა მესამე შეხვედრაში ქვა ქვაზე არ დატოვეს მეტოქისაგან — 87:52 და კიდევ ერთხელ დაწინაურდნენ — 2:1. რჩებოდა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა.

დაიწყო მეოთხე ბრძოლა და სპორტის სასახლის ტრიბუნებზე შეკრებილ გულშემატკივრებს იმედი მიეცათ, იქნებ დღესაც მოხდეს სასწაულიო. ამას საფუძველი საწყის წუთებში ჩაეყარა, როცა გია კაზანჯიანის გუნდმა 5-ქულიანი ფორა მიიღო — 18:13.

სწორედ ამ დროს მოხდა ფაქტი, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა თამაშის ხასიათი — პარტნიორთა ერთ-ერთი სწრაფი შეტევის გაძღოლისას კუნთი დაიჭიმა „ოლიმპის“ ლიდერმა გიორგი ცინცაძემ, მის გარეშე კი უყოჩოდ დარჩენილი ფარა აირია და ისე დაუძლურდა, დუელს ინტრიგა დაეკარგა — 67:91 (1:3ძ.



**ყველაზე შედეგიანები:** ვუდსაიდი — 20 ქულა, რიჩარდსონი — 18 ქულა („არმია“ძ; ბერიშვილი — 20 ქულა („ოლიმპი“ძ.

ქართული საკლუბო საკალათბურთო სეზონი ოფიციალურად დღეს დაიხურება, როცა საქართველოს სუპერთასისთვის „არმია“ 14 საათზე ეროვნული თასის გათამაშების ფინალისტს „ქუთაისს“ შეხვდება.

გიორგი შოთაძე

ნეტარ არიან მორწმუნენი

# სოხუმი ფიფას აფხაზეთის ნაკრებისთვის ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობის უფლების მიცემას სთხოვს

**აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის სპორტის მესვეურები ამზადებენ ფიფასთვის მიმართვას, რომელშიც მოითხოვენ, რომ აფხაზეთის ნაკრებს ფიფას წევრი ქვეყნების საფეხბურთო კლუბებთან ამხანაგური მატჩების გამართვის უფლება მიეცეს. როგორც „იზვესტიასთან“ ინტერვიუში აფხაზეთის ე.წ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჯამალ გუბაზი აცხადებს, ის თავად აპირებს გაემგზავროს ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი შვეიცარიაში, ფიფას შტაბბინაში, სადაც პირადად დააყენებს საკითხს, მიეცეს აფხაზეთის ნაკრებს ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობის უფლება.**

მე მივიჩნევ, რომ აფხაზეთის ნაკრებს ამ უფლების მოპოვების რეალური შანსი აქვს, — აცხადებს გუბაზი.

მისივე თქმით, აფხაზეთში არსებული საფეხბურთო მოედნები და ინფრასტრუქტურა ოფიციალური დონის ამხანაგური შეხვედრების მასპინძლობის საშუალებას იძლევა.

იმედი გვაქვს, ფიფას კრედო, რომ ფეხბურთი პოლიტიკისგან შორს არის, ამჯერადაც დამტკიცდება. ამ საკითხში ჩვენ რუსეთის საფეხბურთო კავში-





რის დახმარების იმედიც გვაქვს. ჩვენი სურვილია ასევე, აფხაზეთის გუნდი რუსეთის რომელიმე საფეხბურთო დივიზიონში, თუნდაც მეორეში მონაწილეობდეს. ამაზე საუბარი დიდი ხანია მიმდინარეობს და დროა უკვე საქმეზე გადავიდეთ, — განაცხადა გუბაზმა.

მანვე აღნიშნა, რომ ფიფას ხელმძღვანელს იოზეფ ბლატერს სთხოვს, დაეხმაროს აფხაზეთში ფეხბურთის განვითარებაში.

ამ კვირაში ფიფამ ოფიციალური ამხანაგური მატჩების ჩატარების უფლება კოსოვოს საფეხბურთო ნაკრებს მისცა.

უნივერსალი

# ტატამზეა ტენორი

**14 მაისს ბექა გოგინაშვილი 27 წლისა შესრულდა.**

**დაბადების დღისთვის კალაურელმა (გურჯაანის რაიონი) ახალგაზრდამ საკუთარ თავს მშვენიერი საჩუქარი უძღვნა — მეორე ადგილი დაიკავა კონტაქტურ კარატეში გამართულ პირველ ეროვნულ ჩემპიონატში (უფროსი ასაკი, აბსოლუტური წონა). სიმბოლურია, რომ აღნიშნული ტურნირი გიორგობა დღეს მოეწყო.**



ეს ჩვენი წერილის გმირის პირველი სპორტული წარმატება როდია — საქართველოსა და კავკასიის პირველობების მრავალგზის პრიზიორი ამჟამად ახალგახსნილ კარატეს აკადემიის დარბაზში ვარჯიშობს. მისი სენსეი წლების განმავლობაში გახლავთ ბესიკ ხუციშვილი. არის ლიცენზირებული ინსტრუქტორი და პირველი დანის მფლობელი, რომელიც თვით მსოფლიო კარატე-დოს ფედერაციის ლეგენდარულმა შეფინსტრუქტორმა ჰიტოში კასუიამ მიანიჭა.

როცა უნივერსალური ნიჭით დაჯილდოებულ ყმაწვილზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებულად უნდა შევჩერდეთ მის კიდევ ერთ გატაცებაზე: ახლახან ბექა საფრანგეთის დედაქალაქიდან დაბრუნდა, სადაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ტრიუმფალური კვირეულის გალაკონცერტში მონაწილეობდა, როგორც თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასის წევრი. ეს მისი პირველი გასტროლი იყო, თანაც პარიზში!

შთაბეჭდილებებით აღსავსე ჩვენი თანამემამულე აღტაცებული გვიამბობს, რომ საღამოზე მიწვეულ საპატიო სტუმრებს საჩუქრად სი-დი დისკზე ჩაწერილი უწმინდესისა და უნეტარესის საგალობლები დაურიგდათ, ხოლო დარბაზი მაყურებლებით იყო გადაჭედილი.





რაც შეეხება პერსპექტივას, ძალიან სურს მოსინჯოს საკუთარი შესაძლებლობები ლადო ათანელის დაწესებულ კონკურსში. იგი ხომ დიდმა მაესტრომ ნოდარ ანდღულაძემ მიიწვია სამეცადინოდ და კონკურსში მისი კლასის სახელით მონაწილეობისთვის. დაგვეთანხმებით, ეს დიდი პატივია ნებისმიერი ხელოვანისათვის.

აქვს კიდევ ერთი ჩანაფიქრი. როგორც ბექამ გაგვანდო, სურს იტალიის ქალაქ ოზიმოს პრესტიჟულ აკადემიაში პროფესორ ალა სიმონიშვილის დახმარებით ორწლიან კურსებზე იქაური ბელკანტო შეისწავლოს.

გეგმებს რა გამოულევს ტალანტით მადლმოსილ ტენორსა და კარატისტს. ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც არაერთხელ მოგვეცემა მასთან შეხვედრის საბაბი.

გია პლატონიშვილი

**სიმართლე კი ასეთია**

# ცრუობთ, ბატონებო, ცრუობთ!

**19 მაისს სპორტულმა კომენტატორმა ჯამლეტ ხუხაშვილმა და კინომცოდნე გოგი დოლიძემ თბილისის სპორტის სასახლეში გამართეს პრესკონფერენცია, სადაც დრამატურგ გურამ ბათიაშვილის მიმართ გაგრძელდა ს ა ბ რ ა ლ დ ე ბ ო განცხადებები. რა გასაკვირია, რომ ბატონი გურამი აღშფოთებულია ცილისწამებით და განსაკუთრებით იმით, რომ თითქოს მან მიითვისა ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", და უცხოეთში დადგა, როგორც, საკუთარი.**




— ყველაფერს ვიფიქრებდი, — განუცხადა მან ჩვენს კორესპონდენტს, — მაგრამ ასეთ სიმდაბლეს ჩემი ოპონენტებისგან ნაღდად არ მოველოდი"! — აცხადებს გურამ ბათიაშვილი, — ჭეშმარიტება კი ასეთია — გასული საუკუნის 80-იან წლებში კულტურის სამინისტროს დაკვეთით მე დავწერე ინსცენირება საქვეყნოდ საყვარელი მწერლის ნოდარ დუმბაძის ცნობილი რომანის „მე ვხედავ მზის" და ორი მოთხრობის მიხედვით — „ცა რომ სარკე იყოს". აფიშაზე, რომელსაც წარმოგიდგენთ, **გარკვევით წერია (ინგლისურად, რადგან სპექტაკლი იდგმებოდა უცხოეთის არაერთ ქვეყანაში) „ცა რომ სარკე იყოს", ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით", ქვემოთ კი — ინსცენირება გურამ ბათიაშვილისა".**

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ არაკომპეტენტურობას (რა შუაშია „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი?"), ბრალდებების სიყალბეს და სიცრუის გზას.

**„ჩასაფრებულის" ჩანაწერები**

# ტაბუდადებული „ტაბულა"

**არ ვარ მე კაი კაცი, ჩემს ცუდ ჩვევებს კიდევ ერთი რომ მივუმატე — ქართველ „ნაციონალურ" დიდკაცთა (და დიდქალთა!) ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებში ცქერა და „ხელების ფათური"... ისე, მთლად ჩემი ბრალიც არაა, იმდენ საგულისყურო რამეებს ვაწყდები, რო... არა უშავს, მგონი რაღაც მორიგი ბირთვული კანონი მიიღეს პარლამენტში, მოასწრეს ქუთაისში გადასვლამდე — ვაი თუ იქ დარბაისელ ქუთაისლებს ბრიყვულ საკანონმდებლო საქმიანობა არ დაანებონ... კანონი მიიღეს-მეთქი, რომლის მიხედვითაც მედიას ეკრძალება დიდფულოვანთა შემოსავალ-გასავლების გასაჯაროება იმათი ერთგვარი „გაჯორვაეობა" გამოდიოდა და იმიტომ...); ასე რომ, ის პოპულარული გაზეთი, სადაც დეკლარაციებში ვიცქირებოდი, ურიცხვსაქონელიანთა გამოჭენებას ველარ მოახერხებს, მეც მოვისვენებ და თქვენც დაგასვენებთ...**



მანამდე კი ერთხელაც გავიჯეჯილებ ასეთ „პონტში... დიახ, იმ გაზეთის ბოლო ნომერში მეუღლეთა — გიგა ბოკერიასა და თამარ ჩერგოლეიშვილის ქონებრივ დეკლარაციას ჩავუსაფრდი (გონებრივი, ჩემი ადრინდელი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, არც ერთმა მაღალჩინოსანმა ნაცმოელმა არ მაღირსა...). გიგას ამჯერად შევეშვათ — კაცი უშიშროების საბჭოს მდივანია და დღედაღამ ქვეყნისა და ხალხის უშიშროება-უსაფრთხოებაზე ფიქრობს (ვართ კიდევაც უშიშრად!..). აი, თამარ-ქალის ამბებმა კი მართლა გამაოცა და ალბათ თქვენც გაოცებით.

კაცო, ჟურნალი ყოფილა ამგვარი — „ტაბულა" (დიდი რამე, მე თუ თვალითაც არ მინახავს...) და თამარ ჩერგოლეიშვილი იმისი აქციონერი და მთავარი რედაქტორია. საანგარიშო წლის სიგრძეზე მას აქციებიდან შემოსავალი არ ჰქონია. „მაგიერში", ჟურნალის მთავარი რედაქტორის პოსტზე წლიურ ხელფასს თურმე 132 000 ლარს იღებს, რაც თვეში — ყურადღება! — 11 000 ლარს ნიშნავს!!! არ გაოცდით? არ იფიქრეთ, ნეტავ ისეთი რა ჟურნალია, რამდენგვერდიანია ან იმ გვერდებიდან, რომ ფურცლავ, ასეთი რა თაფლი სდისო?..

ქვეყანაში, სადაც ამდენ გაზეთს მიზერული დაფინანსებაც არა აქვს მთავრობისგან, სულ მცირე სახელმწიფო სუბსიდია მონატრებია და ნორმალურად გამოსვლა უჭირთ — ერთი ჟურნალის რედაქტორს, თუნდაც უშიშროების შეფის თანამეცხედრეს, ხელისუფლება უხდის ამხელა ხელფასს? თუ ასეა, კიდევ ერთხელ დიდება შენს სამართალს, პრეზიდენტო, შე ძველო, გრძელო და მაგარო...

არ გაინტერესებთ თამარ-ქალი „დამატებით" რა ქალია? რა ქალია და ის ქალია, ვისაც თურმე „ევროპის საბჭო"-ში საპენსიო ანგარიშზე 119 000 ევრო (განა ლარი, ევრო!) უდევს (არ მკითხოთ ახლა, ეგ „ევროპის საბჭო" რაღა უბედურებააო, არ ვიცი!). 1975 წლის 25 მაისს თბილისში დაბადებულ თამარ ჩერგოლეიშვილს, 37 წლის ახალგაზრდა ქალს რა საპენსიო ანგარიში აუტყდა ამხელა ოდენობით, არ ვიკითხო აქ მე? ეტყობა, აქვს შნო, ყოველთვიურად აგზავნის კაიძალ ევროებს და მომავალი შორეული სიბერისთვის მარაგს იმზადებს...

აბა, როგორა საქმე, არც ახლა გაოცდით?..

**ბერდია ბედოიძე**

**სოფელი**

### ბიუჯეტის მღრღნელმა ნაცებმა თავიანთი მსახვრალი თათი ბოსტნეულსაც დაადეს

**სოფლის მეურნეობის საკითხებში ექსპერტების განმარტებით, საუკუნის დასაწყისში, საქართველოს სიმინდის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 100 პროცენტზე მაღალი იყო, კარტოფილისა — 84 პროცენტი, სხვა სახის ბოსტნეულისა — 67-70 პროცენტს შორის მერყეობდა ა. შ.**

იმავე ექსპერტების განცხადებით ჩვენში სოფლის მეურნეობამ უკან სრული სვლა 2006 წლიდან დაიწყო. ამ პერიოდში სიჩქარეაკრეფილი ლოკომოტივი სვლას ველარ ანელებს და სულ უფრო და უფრო უმატებს სიჩქარეს.

წლების წინათ, როდესაც ქვეყანა პრაქტიკულად ბოსტნეულით თვითუზრუნველყოფილი იყო, მოულოდნელად იმპორტზე დამოკიდებული გახდა.

2010 წელს ქვეყანაში შემოვიდა 713 ათასი დოლარის კარტოფილი, 2011-ში კი — 13 მლნ 852 ათასისა. პომიდორი 2010-ში — 4 მლ. 645 ათასი დოლარის, 2011-ში კი — 6 მლნ 711 ათასის, 2010-ში 13 მლნ 660 ათასი დოლარის ღირებულების ხახვი შემოვიდა, 2012-ში 16 მლნ. 200 ათასის. სტაფილო თუ 2010-ში 672 ათასის შემოვიდა, 2011-ში 2 მლნ 200 ათასის შემოიტანეს. მატებაა კიტრის იმპორტშიც. 2010 წელს — 2 მლნ 10 ათასი დოლარის ნაცვლად 2011-ში 3 მლნ 400 ათასი გახდა.

ცალკე თემაა სიმინდი. საბჭოთა რესპუბლიკა, შემდგომ დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც მოსახლეობისთვის სიმინდის თვითუზრუნველყოფას 100 და მეტი პროცენტით ახერხებდა, „ნაციონალების" ხელში სრულად იმპორტზე დამოკიდებული გახდა. 2010-ში ამ მარცვლეულის იმპორტი 3 მლნ 800 ათასი დოლარისა იყო, 2011-ში კი 11 მლნ 700 ათასს მიაღწია. უაზრო ხელისუფლების კორუფციულმა, მოსახლეობის ბედისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ გლეხისათვის, ფერმერისათვის იძულებით თავსმოხვეული „ჰიბრიდული სიმინდის" პროგრამის პირველსავე წელს, ვარდოსნების ხელდასხმული სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემებითაც კი, იანვარ-თებერვალში სიმინდის იმპორტმა ერთ მლნ დოლარს გადააჭარბა.

ჩვენში ბოსტნეული ძირითადად თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოდის, მაშინ, როდესაც ამ ქვეყნების მიმდებარე ჩვენი რეგიონები (მარნეული, გარდაბანი, ახალციხე და ა.შ.) ტექნიკის არ არსებობისა და უსახსრობის გამო მიწებს ველარ ამუშავებენ. თუ მაინც ახერხებენ და ამუშავებენ, ბაზარზე ველარ გააქვთ და ადგილზე უფუჭდებათ (ამ მიზეზით ახალციხეში წელს ასობით ტონა კომბოსტო გაფუჭდა).

## ადგილობრივი ბოსტნეული შემოტანილზე ძვირია

### სიცრუე სოფლის მეურნეობისთვის გამოყოფილი 150 მლნ-ის თაობაზე

**როდესაც სააკაშვილი ფაქტის წინაშე დააყენეს, მან სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ დარგად წარმოჩინება და მისთვის 150 მლნ ლარის გამოყოფა ბრძანა. მთავრობას ქვეყნის პირველი პირის ნათქვამი სერიოზულად არც აღუქვია. ის პრეზიდენტის მორიგ ხუმრობად, ან მორიგ უაზროდ წამოსროლილ ფრაზად ჩათვალეს. ამას მოჰყვა 30-ლარიანი ვაუჩერების დარიგება სოფლად და გლეხებისა და ფერმერებისთვის საკანონმდებლო დონეზე დღგ-ს მოხსნა. ექსპერტების განმარტებით, დღგ-ს გლეხი ისედაც არ იხდიდა.** ამ სახის გადასახადი ეხება მხოლოდ მეორადი გაყიდვის პროდუქტებს, გლეხი, კი ყოველთვის, ასე ვთქვათ, „პირველი ხელია". 30-ლარიანი ვაუჩერი რაში ეყოფათ სოფლად მცხოვრებთ — კითხულობენ დარგის სპეციალისტები.



ექსპერტებს ფერმერთათვის სახელმწიფოსგან ხელშეწყობის მაგალითად მოჰყავთ ჩვენი მოსახლეობის ბაღჩეულით ძირითადი მომმარაგებელი თურქეთი. ექსპერტი თამაზ კუნჭულია ამბობს, რომ ამ ქვეყანაში ხელისუფლების ხელშეწყობით, ფერმერებს შეღავათიან ფასებში აძლევენ შხამქიმიკატებს, თანამედროვე ტექნოლოგიებს. სახელმწიფო მეწარმეს, თუ კი მას პროდუქტი ექსპერტზე გააქვს, 20-პროცენტიან შეღავათს ან ამ რაოდენობის თანხას უნაზღაურებს.

აზერბაიჯანში განსაკუთრებულად უდგებიან ნაადრევი ბოსტნეულის მომყვანთ. სხვა დახმარებების გარდა, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანში, როგორც ნავთობის მომპოვებელ და მწარმოებელ ქვეყანაში, საწვავი იაფია, ამ სფეროში დასაქმებულთ მას კიდევ უფრო დაბალ ფასებში აწვდიან.

კუნჭულიას აზრით, ჩვენი მთავრობა გლეხს არაფრით ეხმარება. საწვავი და სასუქი ძვირია, ტექნიკის დეფიციტია. მეზობელი ქვეყნებისაგან განსხვავებით, აღარ გვაქვს სათესლე მეურნეობები (რაც იყო დახურეს) თესლის მეცნიერულ, ლაბორატორიულ დონეზე გამოკვლევა არ ხდება. მისი თქმით საქართველოში პრაქტიკურად აღარ იწარმოება სასაქონლო, სუფრის ჭარხალი, ყვავილოვანი კომბოსტო, სტაფილო. ძალიან შემცირებულია შუშა კიტრის წარმოება.

კომპლექსური პრობლემების გამო ადგილობრივი ბოსტნეული უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე შემოტანილი. სპეციალისტები, სწორედ ამაში ხედავენ კორუფციის ფესვებს. შემომტანები ძირითადად ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებთან დაახლოებული პირები არიან. მათ აწყობთ არსებული მდგომარეობა და საკუთარი ქვეყნისა და მოსახლეობის უბედურების ხარჯზე მილიონებს შოულობენ. ამავე დროს სარგებლობენ რა მთავრობის მაღალი რანგის ჩინოვნიკების მხარდაჭერით, ბოსტნეულის შემოტანასა და ბაზარზე მონოპოლია აქვთ აღებული. გასაყიდ ფასებსაც თავისი შეხედულებისამებრ არეგულირებენ — აღნიშნავენ ექსპერტები და იქვე დასძენენ, რომ გამკითხავი არავინაა.

ხშირად ისმის საუბარი, რომ პირველები ვართ რეფორმებში, კორუფციასთან ბრძოლაში. ეს კიდევ განხილვის თემაა. აი, სოფლის მეურნეობის დარგების ნგრევა-განადგურებაში რომ პირველები ვართ, ეს ფაქტია — ასკვნის ექსპერტი სოფლის მეურნეობის დარგში პაატა კოღუაშვილი.

**ზაზა ბილიხოძე**

**მოვლენის წინ**

## ორწყობილა



პარლამენტი ქუთაისში ხვალ
იქნება, განა დღესა...
აქ თუ ჭკუაბნელი იყო,
იქ ნათელი დაადგესა...

**ქოქოლა მიმყრელიძე**

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77;
599 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

**გურამ გუნავა თანაუგრძნობს შალვა მგალობლიშვილს დის**
**გიული ბიძინას ასული**
**მგალობლიშვილი-ფაბრიეს**
**გარდაცვალების გამო.**

**ინფორმაცია**

### ჰიდროლოგები უახლოეს დღეებში წყალმოვარდნებს არ გამორიცხავენ

**ჰიდროლოგები უახლოეს დღეებში საქართველოს პატარა და მშრალ ხევებში წყალმოვარდნებს არ გამორიცხავენ. როგორც „ინტერპრესნიუსს" ჰიდროპროგნოზირების განყოფილების უფროსმა ქეთევან წიკლაურმა განუცხადა, შემდეგი სამი დღის განმავლობაში მოსალოდნელია წვიმები, რამაც შესაძლოა, ქვეყნის პატარა და მშრალ ხევებში წყალმოვარდნები გამოიწვიოს. წყალმოვარდნები განსაკუთრებით კახეთშია შესაძლებელი, თუმცა ჰიდროლოგები განსაკუთრებულ წყალდიდობებს არ ელოდებიან.**

**— ძირითად მდინარეებზე წყალდიდობებს აღარ ველოდებით, რადგან მთაში თოვლის დნობის პროცესი სრულდება. წყალმოვარდნები უფრო პატარა და მშრალი მდინარეების ხევებში იქნება", — დასძინა წიკლაურმა.**

**მისივე თქმით, წყლის სიუხვით წინა წელთან შედარებით ეს წელი არ გამოირჩევა.**

ინტერპრესნიუსი

ხვალ

# რუსთაველის პროსპექტზე



უკვე ორი დღეა, რაც რუსთაველის პროსპექტი გადაიკეტა და იგი მთლიანად ეთმობა 26 მაისის საზეიმო დღის ღონისძიებებს. პროსპექტზე უკვე განლაგდა სპეციალური კარვები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება ათეულობით საქართველოს მასშტაბით წარმოებული პროდუქციის გამოფენა-დაგემოვნება-გაყიდვა... პირველი სკოლის წინ დამონტაჟებულია სცენა სახელდახელო კონცერტისთვის. რაც მთავარია, პროსპექტზე განლაგდება ჩვენი არმიის სიამაყე – უპილოტო თვითმფრინავი, ჯავშანტრანსპორტიორი „ლაზიკა", „დიდგორი" და სხვადასხვა სახის სამხედრო შეიარაღება.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.










რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

 იცოდით?

## აღმოჩენები, რომლებმაც მედიცინა შეცვალეს

**ნარკოზი.** ნარკოზის შემოღებამდე ქირურგია სადიზმს ჰგავდა – საშინელ წამებას მხოლოდ ოდნავ ანელებდნენ ალკოჰოლით, ნარკოტიკებითა და სხვა გამაბრუებელი საშუალებებით. 1845 წელს ინგლისელმა ჰორაციუს უელსმა პირველად გამოიყენა „მამხიარულებელი გაზი" (აზოტის ქვეჟანგი) სტომატოლოგიაში. ეს იყო ხანმოკლე ნარკოზი, და მას დღემდე იყენებენ. 1846 წელს ინგლისელმა სტომატოლოგმა უილიამ მორტონმა გამოიყენა ნარკოზისთვის ეთერი. 1847 წელს ჯ.სიმფსონმა ქლოროფორმის გამოყენება დაიწყო.

**ასეპტიკა და ანტისეპტიკა.** ავადმყოფები ოპერაციების შემდეგ ხშირად იღუპებოდნენ ქირურგიული ჩარევის დროს წარმოქმნილი ინფექციებისგან. ჯერ კიდევ 1847 წელს ავსტრიელმა მეანმა იგნაც ზემელვეისმა დააყენა წინადადება დაიმუშაონ ხელები ქლოროვანი კირით. ამან ათასობით ქალი გადაარჩინა, მაგრამ იგი გიჟად გამოაცხადეს. 1860-იან წლებში ინგლისელმა ქირურგმა ჯ.ლისტერმა ქირურგების ხელების, ინსტრუმენტების, საკერი მასალების, ჭრილობებისა და ჰაერისაც კი საოპერაციო კორპუსში გასაწმენდად დაიწყო მისი გამოყენება. ამან შესანიშნავი შედეგები გამოიღო.

**ანტიბიოტიკები.** ბაქტერიების საწინააღმდეგო საშუალებების შექმნამდე სიკვდილის მთავარი მიზეზი იყო ინფექციები – ავადმყოფები იღუპებოდნენ პნევმონიისგან, ანგინისგან, პატარა ჩირქოვანი დაავადებებისგან, სეფსისისგან, ტუბერკულოზისგან და ა.შ. 1932 წელს გერმანელმა გერჰარდ დომაგკმა შენიშნა, რომ წითელი სტრეპტოციდი აქტიურია სტრეპტოკოკების წინააღმდეგ. აქედან იწყება ბაქტერიული ინფექციების ქიმიოთერაპიის ერა. 1935 წლის შემდეგ გაჩნდა უფრო ეფექტური თეთრი სტრეპტოციდი. 1929 წელს ინგლისელმა ა.ფლემინგმა აღმოაჩინა პენიცილინი, რომელიც აქტიურია ბევრი ბაქტერიის წინააღმდეგ. 1940 წელს მან გამოყო იგი სუფთა სახით, 1941 წელს დაიწყეს დაჭრილების მკურნალობა პენიცილინით. მეორე მსოფლიო ომის დროს მან მილიონობით სიცოცხლე გადაარჩინა. უკვე 1942 წელს მისი წარმოება საბჭოთა კავშირში ზინაიდა ერმოლიევამ მოაწესრიგა.

კადრი



ანეკდოტები

– ლენა, ნუ მისცემ მას თავდავიწყების საშუალებას!
– როგორ?!
– ნუ მისცემ!

* * *

ქალის სურვილი – კანონია!
წუხელ სამჯერ შევიტანე მასში შესწორება...

* * *

მოშე პროფესორთან მივიდა და გასინჯვის შემდეგ მაგიდაზე ასი მანეთი დაუდო.
– ჩემთან გასინჯვა ათასი მანეთი ღირს, –ეუბნება პროფესორი.
– ოი, მაპატიეთ, თუ შეიძლება, მე კიდევ მითხრეს, ხუთასიო.



– ძვირფასო, რატომ აიღე ჩვენი ქორწინების მოწმობა და რად ათვალიერებ ეგრე გულმოდგინედ?
– ვარგისიანობის ვადას ვეძებ.

* * *

– ამბობენ, რომ თურმე იმათ გვარებს იწერ, ვინც გაწყენინა, რათა მერე სამაგიერო გადაუხადო.
– აბა, რას ამბობ, სისულელეა. ისე, მაინც, ვინ გითხრა ეგ?

* * *

– ძვირფასო, დღეს არ გვიმღერებ? – ეკითხება ქმარი ცოლს.
– რა საჭიროა, სტუმრები ხომ ისედაც იშლებიან.
– ჰო, მაგრამ ძალიან ნელა იშლებიან.

* * *

საყვარელო! შენ ისეთი ბუნებრივი ხარ, როდესაც ღრიალებ...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24